გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2005 წელი.

№238 (5271)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ-ილებით და ჭორებით ბრბოს გაცანა ყველა უპატ-რიოსნობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

◎ სვეტიცხოვლობა

## დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა

დღეს, 14 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მცხეთობას



იმ წელს, როცა ქართლის სამეფო ტახტზე ადერკი ავიდა, მცხეთაში ხმა გავარდა, იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო, გლოვამ და წუხილმა მოიცვა ქართველი ჰურიანი, მაგრამ გამოხდა მცირე ხანი და ყველანი დამშვიდნენ – შეიტყვეს, რომ „სპარსნი დასაპყრობად კი არ მისულან იერუსალიმსა, არამედ საჭურველის ნაცვლად მოჰქონდათ სამეფო ოქრო, მაკურთხებელი მური და საკმეველი გუნდრუკი და ეძიებდნენ დავითის ტომის ყრმას. იპოვეს კიდეც მწირი ერთი, მწირი დედაკაცისგან შობილი, უდროო დროსა და უადგილო ადგილას. იმ ყრმას სცეს თაყვანი და შესწირეს ძღვენი“.

იხ. მე-8 გვ.

## გაჩუმება აღარ ეგების

### შეურაცხმყოფელი აქცია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები გამოვთქვამთ უდიდეს აღშფოთებას ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სამარცხვინო ქმედების გამო. მიგვაჩნია, რომ ეს ქმედება თითოეული ჩვენგანის პირადი შეურაცხყოფაა, მათი ცილისმწამებლური მოქმედება არის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რათა ჩირქი მოსცხონ სწორედაც რომ გამორჩეულ სამეცნიერო დაწესებულებას, მის ხელმძღვანელს, რათა გაუადვილდეთ მეცნიერების წინააღმდეგ ჩაფიქრებული ბნელი ზრახვების განხორციელება.

იხ. მე-2 გვ.

## ნინო ბურჯანაძე ნალჩიკის მოვლენებს გამოეხმაურა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ნალჩიკში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა.**

ბურჯანაძის განცხადებით, მას აცნობეს, რომ ბოევიკები ყაბარდო-ბალყარეთის შს სამინისტროს შენობაში შეიჭრნენ, ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობს და არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

ბურჯანაძის თქმით, საქართველოს პარლამენტი თანაგრძნობას უცხადებს ნალჩიკის მოსახლეობას და იმედოვნებს, რომ სიტუაცია სულ მალე კონტროლს დაექვემდებარება.

პარლამენტის სპიკერის განცხადებით, ნალჩიკში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენს უკონტროლო შეიარაღებულ ადამიანთა დაჯგუფებები.

ინტერპრესნიუსი

## სისხლისღვრა ნალჩიკში

იხ. მე-5 გვ.

◎ ინფორმაცია

### ბათუმში ნაყალბევი წამლები იყიდება?

ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ გუშინ ბათუმში 12 აფთიაქი დალუქა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს უფროსმა ლევან კიკნაველიძემ განუცხადა, აღნიშნულ აფთიაქებს საქმიანობისთვის აუცილებელი ლიცენზიები არ გააჩნდათ. ზოგიერთ მათგანში დარღვეულია საბუღალტრო წიგნის წარმოების წესი, ბევრ აფთიაქს კი არ გააჩნია სალარო აპარატები.

ფინანსური პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთ აფთიაქში ფალსიფიცირებული წამლებიც იყიდება. რამდენიმე აფთიაქის მეპატრონის მიმართ შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. ფინანსური პოლიცია ბათუმში კიდევ 40-ზე მეტი საეჭვო აფთიაქის შემოწმებას გეგმავს.

### რუსეთი ენერგიის მოწოდებას არ შეზღუდავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იმედოვნებს, რომ რუსეთი საქართველოს გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდებას არ შეუზღუდავს, როგორც ამას ზოგიერთი რუსი დეპუტატი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ითხოვს.

ნოღაიდელის ოპტიმიზმს იზიარებს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. მისი თქმით, საქართველოს რუსეთთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობები აქვთ და არ მგონია, რომ რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულებები, რომლებიც ქართულ და რუსულ მხარეებს ენერგეტიკის სფეროებში აქვთ გაფორმებული, დაარღვიოს.

### სტიქიის სალიკვიდაციოდ მხოლოდ 0,01 პროცენტი დაიხარჯა

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მონაცემებით, 2005 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან სტიქიის სალიკვიდაციოდ მხოლოდ 0,01 პროცენტი დაიხარჯა.

იურისტთა ასოციაციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ასოციაცია „საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობის პროგრამის“ ფარგლებში, სარეზერვო ფონდებიდან მიზნობრივად, ანუ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ოდენობითა და თანხების ხარჯვით დაინტერესდა.

ჩატარებული მონიტორინგის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა 2005 წლის სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან მხოლოდ 4 000 ლარი გამოყო. ეს მაშინ, როდესაც წლის განმავლობაში, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, პრეზიდენტს თავისი სარეზერვო ფონდიდან 35 430 955 ლარი აქვს გამოყოფილი.

იურისტთა ასოციაციის მიერ დადგენილი მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, ასევე იმერეთში, ანუ ქვეყნის 3 რეგიონში, მხოლოდ მარტისა და მაისის თვეებში სტიქიით გამოწვეული ზარალი 14 მილიონს აჭარბებდა, რაც, თავის მხრივ, 4-ჯერ აღემატება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებს.

### კახეთმა მოირთველიანა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი კახეთში ჩატარებული რთველით კმაყოფილია.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გუშინ, მთავრობის სხდომაზე განაცხადა, კახეთში საკმაოდ წარმატებულად ჩატარდა რთველი და ჩამოყალიბდა მევენახეობისა და მეღვინეობის პოლიტიკა.

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, დღეისათვის 82 ქარხნის მიერ კახეთში 62 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული და ეს, მისი თქმით, ძალიან კარგი შედეგია. გარდა ამისა, როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, ყურძნის წლევანდელმა ფასებმა, გასულ წლებთან შედარებით 150 პროცენტით აიწია და 25 თეთრიდან 70 თეთრამდე გაიზარდა.

როგორც პრემიერი ვარაუდობს, წელს ქარხნების მიერ 80 ათასამდე ტონა ყურძენი იქნება რეალიზებული და ეს უკვე, როგორც პრემიერი აცხადებს, რეკორდული მაჩვენებელია.

ინტერპრესნიუსი

◎ პანორამა

**თურქეთში** „ფრინველის გრიპის“ პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 9 ოქტომბერს, ერთ-ერთ ინდაურების ფერმაში. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქმე ეხება H5N1 შტამის ვირუსს. „ფრინველის გრიპის“ სწორედ ამ ნაირსახეობას ემსხვერპლა აზიაში 2003 წელს სულ ცოტა 60 კაცი.



* * *

**ნობელის** პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა ბრიტანელ დრამატურგს ჰაროლდ პინტერს. იგი ომისშემდგომი ბრიტანული დრამატურგიის კლასიკოსი, 29 პიესის ავტორია. პინტერის ცნობილი ნაწარმოებებია — პიესები „დარაჯი“, „კოლექცია“, „საყვარელი“, „შინ დაბრუნება“, „ღალატი“.

* * *



**კაბინეტში**, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი ანგელა მერკელი, შევა სოციალ-დემოკრატების 8 წარმომადგენელი. ვიცე-კანცლერის პოსტს დაიკავებს გერმანიის ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ფრანც მიუნტეფერინგი. საგარეო საქმეთა სამინისტროს უხელმძღვანელებს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას ფედერალური კანცლერის უწყებას.

## სევდის საბუდარი

### რატომ შეიყვანეს საქართველო 50 დემოგრაფიულად მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში?



იხ. მე-3 გვ.

## „ისე ნუ მომკლას ღმერთმა, ჩემი ბიჭი ფეხზე გამართულად გავლილი ვერ დავინახო“...

**მარტო** ამ ომში განწირული ახალგაზრდებისა და მათი გამწარებული ქართველი და ოსი დედების ცრემლების გამო ღირს დაპირისპირებული მხარეების უყოყმანოდ მისვლა სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან — მშვიდობას ხომ ამ კუთხის მომავლისათვის მართლა არა აქვს ალტერნატივა!



იხ. მე-6 გვ.

## ლიბერალური პიროვნება



იხ. მე-5 გვ.

## საქართველოში ამზადებენ ბაზებს 1944 წელს გადევნილი ხალხის რეპატრიაციისთვის

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავა მიმდინარე კვირას მოგზაურობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ ქვეყნებში, რომლებშიც სტალინის რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული მესხეთელი თურქების ყველაზე მრავალრიცხოვანი თემები სახლობენ. ხაინდრავა ამ მოგზაურობის ფარგლებში ეწვევა აზერბაიჯანს, რუსეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს და უზბეკეთს, შეხვდება მესხეთელი თურქების და ადგილობრივ ხელისუფლებათა წარმომადგენლებს.**

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალებით, სახელმწიფო მინისტრმა ადგილებზე უნდა განიხილოს სამშობლოში მესხეთელი თურქების მომავალ რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხები და ის პირობები, რომლებიც ამ ხალხს შეიძლება შესთავაზოს საქართველოს მთავრობამ.

მესხეთელი თურქები, როგორც ცნობილია, 1944 წელს გაასახლეს სამხრეთ საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. ისევე როგორც ჩეჩნებს, ყირიმელ თათრებს, სხვა „საეჭვო ხალხებს“, მესხეთელ თურქებსაც ბრალი წაუყენეს იმაში, რომ ისინი არ იყვნენ ლოიალური საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, და, შესაძლოა, ეთანამშრომლათ ფაშისტებთან. დეპორტაცია განხორციელდა დაუყოვნებლივ. მთელი ეშელონებით გადაასახლეს ეს ხალხი შუა აზიაში. როგორც მოსკოვში მოქმედი მესხეთელი თურქების საერთაშორისო საზოგადოების „ვათანის“ პრეზიდენტმა სულეიმან ბარბაქაძემ განაცხადა, საქართველოს ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების 224 სოფლიდან, პრაქტიკულად, ერთ დღეში გაასახლეს 92 ათასზე მეტი ადამიანი. მათ ახალ საცხოვრებელ ადგილებად შეარჩიეს უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

ომისშემდგომ წლებში მესხეთელი თურქების რეპატრიაციის პრობლემა არაერთხელ წამოჭრილა. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 45 წლის განმავლობაში მიიღო შვიდი დადგენილება ჩვენი ხალხის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ამ საქმისთვის გამოიყო გარკვეული სახსრები საკავშირო ბიუჯეტიდან, თუმცა, საქმე რეალურ დაბრუნებამდე არ მისულა, ყოველთვის წარმოიქმნებოდა „გაუთვალისწინებელი სირთულეები“, შემდეგ კი ეს პრობლემა საერთოდ მიივიწყეს“, — თქვა სულეიმან ბარბაქაძემ. ეს საკითხი გაიხსენეს მხოლოდ 1989 წელს ფერღანაში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, როცა მესხეთელი თურქები უზბეკეთიდან გამოდევნეს. ეს იყო მეორე დეპორტაცია, რომლის შემდეგაც მესხეთელი თურქები, როგორც იტყვიან, მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ: დაახლოებით 100 ათასი კაცი ცხოვრობს რუსეთში, თითქმის ამდენივე — ყაზახეთში, მესხეთელ თურქთა მრავალრიცხოვანი თემებია აზერბაიჯანსა და უკრაინაში.

იხ. მე-7 გვ.

◎ კანონმდებლები

## მიხეილ მაჭავარიანი:

# „მე რომ ვთქვა, რობერტ კენედი ვარ-მეთქი, დამიჯერებთ?“

**პრეზიდენტი რა დავალებას მისცემს არველაძეს, კირკიტაძეს, მაჭავარიანსა თუ მენთეშაშვილს, არავის საქმე არ არის! — თქვა ვიცე-სპიკერმა. არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ არავისი კი არა, ყველას საქმეა, რაკი დეპუტატებს ეხება. ოპოზიციამ სწორედ ამიტომ მოითხოვა, გიორგი არველაძეს უფლებამოსილება გაემიჯნა და ერთდროულად არ ემუშავა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ეს მოთხოვნა სწორი რომ არის, მიხეილ მაჭავარიანმაც იცის, მაგრამ გაცხარებამ და პრეზიდენტისადმი ერთგულებამ ათ-**



**ქმევინა, არავის საქმეაო. ამასთან, არგუმენტად ეს მოიშველია, — არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურად დაადასტურებდა, რომ არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელიაო. აქედან ბატონი მიხეილი ასკვნიდა, რომ თანამდებობრივ შეუთავსებლობაზე ლაპარაკი არასწორია. პირობაც დადო არველაძის ნაცვლად — თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ოფიციალურად დაინიშნება და ამის შესაბამისი დოკუმენტიც იარსებებს, ბატონი გიორგი კანონს არ დაარღვევს და პარლამენტს დატოვებსო.**

— კაცი თავად ამბობს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვარო, არ დავუჯეროთ? — იკითხა რესპუბლიკელმა თემურ ნერგაძემ, — გვატყუებს? მაშინ მატყუარა დეპუტატი გვყოლია.

— მე შეიძლება, გამოვიდე და ვთქვა, რობერტ კენედი ვარ-მეთქი, მაგრამ ხომ არ დამიჯერებთ? — თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ამ პასუხით ძალიან გაგვამხიარულა ვიცე-სპიკერმა.

მისგან განსხვავებით, მართებული კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ:

— მიხეილ მაჭავარიანმა კი თქვა, ადმინისტრაციაში არველაძის დანიშვნის შესახებ ნორმატიული აქტი არ არსებობსო, მაგრამ ჩემთვის ეს არაფერს ცვლის. რამდენ ხანს შეიძლება, თან დეპუტატი იყოს, თან პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდეს? ამ საკითხზე მე ბატონ მიხეილ სააკაშვილსაც ვესაუბრე და, ვფიქრობ, პრობლემა მალე მოგვარდება.

მემარჯვენეთა ლიდერმა გიორგი არველაძესთან ერთად მარიკა ვერულაშვილიც ახსენა (როგორც იცით, ის პარლამენტარობას პრეზიდენტთან მუშაობასაც უთავსებს საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში). დავით გამყრელიძის თქმით, ეს ინსტიტუციონალური აღრევა, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ერთდროული მუშაობა ის სიმახინჯეა, რომელიც პარლამენტარიზმის ტრადიციას ანგრევს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მეგი გოცირიძემ ვერულაშვილი დაიცვა. მარიკა ვერულაშვილს თქვენსავით ბიზნესი არ აქვს, სახელმწიფოებრივ საქმეს ასრულებსო, — მიმართა გამყრელიძეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით იუმორი მოიშველია კონსერვატორთა ლიდერმა კობა დავითაშვილმა:

— ყველას გაგიკვირდებათ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ არველაძეს აქვს უფლება, იმუშაოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. თქვენ, უბრალოდ, არ იცით, რომ თბილისის საქალაქო და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებით, პრეზიდენტი არ წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას. სასამართლოს გადაწყვეტილებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა ჩვენს პოლიტიკურ წყობაში. ეს არის ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელზეც პარლამენტმა უნდა იმსჯელოს. რაკი პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას არ წარმოადგენს, არველაძეს შეუძლია, მის ადმინისტრაციაში იმუშაოს, როგორც ჩანს, ესეც საკანონმდებლო ხელისუფლებაა.

შეგახსენებთ, რომ კონსერვატორებს სასამართლოში სარჩელი ჰქონდათ შეტანილი იმის გამო, რომ პრეზიდენტი წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა. სასამართლოს პასუხი ასეთი იყო: პრეზიდენტს ამის უფლება აქვს, რადგან ის აღმასრულებელ ხელისუფლებას არ წარმოადგენს.

განცხადებების შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა უნდა დაწყებულიყო. რიგით პირველი იყო „ოპოზისთან“ დაკავშირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, რომელიც დავით კირკიტაძეს უნდა წარმოედგინა. რაკი მომხსენებელი დარბაზში არ იმყოფებოდა, მისი ძებნის გამო სხდომა შეჩერდა. ბოლოს მიაგნეს. რატომღაც ხელების შლით შემოვიდა დარბაზში ბატონი დავითი. საქმეში გასარკვევად მას რაღაც დრო დასჭირდა და ხუთწუთიანი შესვენება გამოცხადდა, თუმცა, კონსულტაცია მეტხანს გაგრძელდა. და მაინც, როგორც გაირკვა, ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა. ოპოზიციასთან კონსულტაცია უნდა გავმართოთ, რის გამოც საკითხის განხილვა დღის მეორე ნახევრისთვის უნდა გადავდოთ, — განაცხადა დავით კირკიტაძემ.

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ უმრავლესობა რეგლამენტით ნებადართული შვიდის ნაცვლად ხუთ დეპუტატს შეიყვანს კომისიაში, ორს კი ოპოზიციას დაუთმობს. საგამოძიებო კომისიაში ფრაქცია „მაჟორიტარების“ ორი წარმომადგენელიც შევა. დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობაში მის თავმჯდომარედ უმრავლესობის მიერ დაწუნებული კობა დავითაშვილიც მიიღებს მონაწილეობას.

საპარლამენტო კომისია სამი თვის ვადით შეიქმნა. მის წევრებს ფრაქციები 21 ოქტომბრამდე წარადგენენ, ამის შემდეგ კი კომისიის თავმჯდომარეს აირჩევენ. გავრცელებული ხმების თანახმად, შეიძლება, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი გახდეს. ამას უმრავლესობაც უჭერს მხარს, თუმცა, ცაგარეიშვილი თავისი ფრაქციის თანხმობის გარეშე კომისიის თავმჯდომარეობაზე ვერ იფიქრებს.

**რუსუდან გახარია**

◎ გაჩუმება აღარ ეგების

# შეურაცხმყოფელი აქცია

**გასულ ორშაბათს მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ, დიდი მეცნიერული ტრადიციების მქონე ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ფინანსური პოლიცია შემოიჭრა. ეს მოხდა დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც საინფორმაციო სააგენტო „ობიექტივში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გაცხადდა საინიციატივო ჯგუფის განზრახვა საზოგადოებრივი მოძრაობის — „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“ შექმნის მიზნით ფორუმის ჩატარების შესახებ. აღნიშნული პრესკონფერენციის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვანო კილურაძე გახლდათ. ნამდვილმა პოლიციურმა ოპერაციამაც არ დააყოვნა: ფინანსური პოლიციის რაზმი შემოიჭრა აკადემიკოს ვანო კილურაძის სამუშაო კაბინეტში და ჩაატარა არასანქცირებული, მაგრამ „გადაუდებელი აუცილებლობის გამო“ ჩხრეკა. აკადემიკოსის მიერ „შავი ბუღალტერიის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურების“ აღკვეთის მიზნით ფინანსურმა პოლიციამ მოახდინა ბატონი ვანოს პირადი არქივის „ამოღება“.**

ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველა ამ აქციის უკან დგას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აკვიატებული იდეის — გაანადგუროს „სტალინისა და ბერიას დაარსებული“ „კომუნისტური წყობის გადმონაშთი“ — საქართველოს მეცნიერებიათა აკადემია — განსახორციელებლად სამინისტრო არ თაკილობს გამოიყენოს მასმედია, პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია.

აღმაშფოთებელია, რომ ბატონ ვანო კილურაძეს, მეცნიერების გადარჩენისთვის ბრძოლის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს, დარტყმა იქ მიაყენეს, სადაც ამას ვერავინ წარმოიდგენდა და მაქსიმალურად მტკივნეული იქნებოდა უკიდურესი უსამართლობის გამო: აკადემიკოს ვანო კილურაძეს ბრალი უპატიოსნებაში დასდეს!

საქართველოს განათლებული საზოგადოება მშვენივრად იცნობს აკადემიკოს ვანო კილურაძეს. არ არის საკვირველი, რომ მის პიროვნებას არ იცნობენ ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები, ამ აღმაშფოთებელი აქციის უბრალო აღმსრულებლები. საკვირველი ის არის, რომ მას თურმე არ იცნობენ დამკვეთები — განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურები (თუმცა კი აკადემიასთან ბრძოლის გარიჟრაჟზე, როცა მინისტრი ლომაია ცდილობდა აკადემიკოსი კილურაძის თავის მხარეზე გადაბირებას, მას ქართული მეცნიერების ლიდერად თვლიდა). ამიტომ შევეცდებით, განათლების სამინისტროში ცოტაოდენი განათლება შევიტანოთ და ზოგი რამ მოვუთხროთ ბატონი ვანოს შესახებ.

**ზოგიერთი მონაცემი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.** ვანო კილურაძეს გამოქვეყნებული აქვს 127 სამეცნიერო სტატია, 9 მონოგრაფია, მის ნაშრომთა ციტირების ინდექსია 1316. მან აღზარდა 24 მეცნიერებათა კანდიდატი, 2 მეცნიერებათა დოქტორი. იგი არის ევროპისა და ამერიკის რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი, წლების განმავლობაში იყო INTAS-ის მეცნიერთა საბჭოს წევრი.

**საორგანიზაციო საქმიანობა.** მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში ბატონი ვანო პირველია, რომელიც ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდა ინსტიტუტის სათავეში. ვანო კილურაძის უდიდესი ძალისხმევის, მისი მხარდაჭერის შედეგად ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს წლებში არამცთუ არ შეყოვნებულა სამეცნიერო საქმიანობა, არამედ მან ახალ სიმაღლეებს მიაღწია: განვითარდა ახალი სამეცნიერო მიმართულებები, აღიზარდა ნიჭიერ მათემატიკოსთა ახალი თაობა, დაარსდა საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალები.

**საზოგადოებრივი საქმიანობა.** მეცნიერების ახალგაზრდა „რეფორმატორებს“ იქნებ არ ახსოვდეთ ბატონი ვანოს გამოსვლა აკადემიაში 9 აპრილის შემდეგ. ამ გმირულმა გამოსვლამ ახალი ტონალობა შეიტანა საზოგადოების რეაქციაში და გადამწყვეტი როლი შეასრულა შემდგომ მოვლენებში. მათ ალბათ ისიც არ იციან, რომ ბატონმა ვანომ, ჯერჯერობით ერთადერთმა, ნებაყოფლობით დატოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტი მთავრობის მიერ გაყალბებების მცდელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ის გარემოება კი, რომ ბატონი ვანო საქართველოში მეცნიერების გადარჩენისთვის მოძრაობის აღიარებული ლიდერია, მათთვის კარგადაა ცნობილი, აკი ამიტომაც ებრძვიან მას ასეთი გააფთრებითა და სრულიად ამორალური მეთოდების გამოყენებით.

არ გვინდა თავის მართლებასავით გამოგვივიდეს (ამ პროვოკაციის მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო), მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა ვითარების ახსნა. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს აბრალებენ იმას, რომ მან ინსტიტუტის ფართი მიაქირავა გამომცემლობა GCI-ს საეჭვოდ მცირე ფასად — 750 აშშ დოლარად კვარტალში. სინამდვილეში ვითარება ასეთია. ჩვენი ინსტიტუტის ნაწილი გრუნტზეა აშენებული, ნაწილი კი დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლის ხიმინჯებზე დგას. სივრცე ხიმინჯებს შორის ცარიელი იყო! და აი ეს ცარიელი სივრცე იქირავა გამომცემლობამ 1995 წელს 750 აშშ დოლარად, ამოაშენა ის თავისი ხარჯით და მიღებულ შენობაში მოაწყო თავისი ოფისი. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ეს ამოშენებული ფართი გამომცემლობის წასვლის შემდეგ ინსტიტუტს დარჩება. გარდა ამისა, გამომცემლობა GCI-ს ინსტიტუტის სარდაფის გარკვეული ფართი უკავია, რის სანაცვლოდაც იგი გამოსცემს ინსტიტუტის ორ საერთაშორისო ჟურნალს (წელიწადში 6 ტომი), რომლებიც გაცვლის წესით იგზავნება მსოფლიოს 178 სამეცნიერო ცენტრში.

რით გამოიწვია აკადემიკოსმა ვანო კილურაძემ მეცნიერების „რეფორმატორთა“ ასეთი გააფთრება? ნუთუ იმით, რომ ითხოვდა მეცნიერების რეფორმირების გეგმებში მეცნიერთა აზრის გათვალისწინებას? თუ იმით, რომ როდესაც სამინისტრომ სრულიად უგულებელყო მეცნიერთა წინადადებები, ითხოვდა, რომ სამეცნიერო საზოგადოებისთვის ის მაინც ეცნობებინათ, თუ რა გეგმა აქვს შემუშავებული სამინისტროს?

ჩვენთვის ცხადია, რომ ეს პროვოკაცია ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს აკადემიკოს ვანო კილურაძის რეპუტაციას, არც ერთი პატიოსანი და მოაზროვნე ადამიანი არ დაიჯერებს ამ უბადრუკ ტყუილს. სამინისტრომ კი ამ აქციით ნიღაბი ჩამოიხსნა და საზოგადოებას უჩვენა, რომ ყველანაირი ამორალური მეთოდით აპირებს თავისი მიზნების განხორციელებას.

ჩვენ, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, გამოვთქვამთ უდიდეს აღშფოთებას ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ამ სამარცხვინო ქმედების გამო. მიგვაჩნია, რომ ეს ქმედება თითოეული ჩვენგანის პირადი შეურაცხყოფაა, მათი ცილისმწამებლური მოქმედება არის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რათა ჩირქი მოსცხონ სწორედაც რომ გამორჩეულ სამეცნიერო დაწესებულებას, მის ხელმძღვანელს, რათა გაუადვილდეთ მეცნიერების წინააღმდეგ ჩაფიქრებული ბნელი ზრახვების განხორციელება.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები**

**(მასალა იბეჭდება ინსტიტუტის ხარჯით)**

◎ კანონმდებლები

## ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმზე კონკურსი გამოცხადდა!

**ალექსანდრე** ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ ნათია თურნავამ განაცხადა, სამინისტრომ თელავის რაიონში, სოფელ წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების 49 წლის იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსი გამოაცხადა. იჯარით გასაცემი შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 22 485 კვ.მ და მასზე დამაგრებული მიწა 178 963 კვ.მ-ია, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, სასტუმრო სახლი, სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ღვინის ქარხანა.

წლიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი 70 000 დოლარით განისაზღვრა. თურნავას განცხადებით, კონკურსის პირობების მიხედვით, მოიჯარე სახლ-მუზეუმის მართვას საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განახო რციელებს და 2 წლის განმავლობაში 5 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებს.

## რკინიგზაში პოსტი კვლავ ვაკანტურია

„საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა კვლავ ვაკანტურია.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რკინიგზის გენერალური დირექტორის პოსტზე კანდიდატურების შერჩევა მიმდინარეობს. თუმცა, მისივე თქმით, მთავრობას ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია. ზურაბ ნოღაიდელმა არც სავარაუდო კანდიდატების ვინაობა დაასახელა.

## ვინ იქნება გურიის გუბერნატორი?

**დაინიშნება** თუ არა დეპუტატი ალეკო ცინცაძე გურიის გუბერნატორად, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ჯამბულ ბაკურაძემ განაცხადა, მთავრობა ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული კანდიდატები გამოკვეთილი არ არის.

## ფრინველის გრიპს შევებრძოლებით

**ფრინველის** გრიპის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს მთავრობა სპეციალური ღონისძიებების გატარებას იწყებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ფრინველის გრიპის ვირუსი საქართველოს მეზობლად მდებარე ქვეყნებშია დაფიქსირებული და მისი გავრცელების საშიშროება ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს.

პრემიერის თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან 800 000 ლარი გამოიყო, რომლითაც სპეციალური სადეზინფექციო ტექნიკა, ტანსაცმელი და მედიკამენტები იქნება შეძენილი. პრემიერის ინფორმაციით, ფრინველის ხორცის და კვერცხის იმპორტი უკვე შეჩერდა იმ ქვეყნებიდან, სადაც ვირუსია გავრცელებული.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მთავრობა

# 23 ოჯახს ფულით დაეხმარებიან

**მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ყურადღება ბოლოდროინდელ სტიქიურ მოვლენებზე გაამახვილა. მან სინანული გამოთქვა სამი ადამიანის დაღუპვის გამო და მათ ოჯახებს მიუსამძიმრა.**

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, დაახლოებით 600 ათასი ლარია გამოყოფილი სატრანსპორტო კომუნიკაციების აღსადგენად. შესაბამისად, საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რომან დალაქიშვილმა უკვე მიიღო დავალება და სამუშაოები დაწყებულია. მეწყერისგან ჩახერგილი გზები კი უკვე გაწმენდილია.



ზურაბ ნოღაიდელის თქმით, სატრანსპორტო კომუნიკაციების, ხიდების და გზების საბოლოო აღდგენას ორი თვე მაინც დასჭირდება.

ეს საკითხი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსმა ჯამბულ ბაკურაძემ განავრცო, რომელმაც ყურადღება გაამახვილა გურიაში სტიქიური უბედურებისგან დაზარალებულ უსახლკაროდ დარჩენილ 23 ოჯახზე. თითოეულ ოჯახს 5 ათასი ლარი მიეცემა სახლის შესაძენად.

ჯამბულ ბაკურაძის თქმით, სტიქიის ზონაში არ დარჩება ოჯახი, რომელიც არ მიიღებს ჰუმანიტარულ დახმარებას, სურსათს და მედიკამენტებს. მათ მოხმარდებათ, აგრეთვე, ბიზნესმენთა ასოციაციის მიერ შეგროვილი 130 ათასი ლარი.

რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსმა ჟურნალისტებს ბრიფინგზე სამთავრობო მუშა-ჯგუფის შექმნაზეც მიაწოდა ინფორმაცია, რომელსაც ნაპირსამაგრი სამუშაოების სტრუქტურის ჩამოყალიბება დაევალა. თუმცა ასეთი სამსახური უკვე შეიქმნა გზების სახელმწიფო დეპარტამენტში. ეს სამსახური იზრუნებს ნაპირსამაგრი სამუშაოების ინვენტარიზაციაზე, ანუ ჯამბულ ბაკურაძის თქმით, მთავრობა ყველაფერს იღონებს მდინარეთა ნაპირის გასამაგრებლად, გააკეთებს იმას, რაც 25 წლის მანძილზეც არ გაკეთებულა.

„ამჟამად ხარჯთაღრიცხვა დგინდება და იმედია, წლევანდელი კატასტროფა მომავალ წელს ასეთი ძალით აღარ განმეორდება“, — დაასკვნა დეპარტამენტის უფროსმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ წარდგინება

# სერიოზული მონოგრაფია მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში

**ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ირაკლი კოვზანაძის წიგნის წარდგინება გაიმართა.**

დარბაზი სავსე იყო გულშემატკივრებით, მისი ღვაწლის დამფასებელი ადამიანებით.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა, რომელმაც ავტორს მიულოცა მეტად სერიოზული მონოგრაფიის წიგნად გამოცემა და თქვა, რომ ეს არის აკადემიური ნაშრომი, რომელსაც საბანკო სექტორისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.




წიგნი გამოსცა ცნობილმა რუსულმა გამომცემლობამ „Финансы и статистика“ (მოსკოვი). მასში გაანალიზებულია ტრანსფორმაციული ქვეყნების ეკონომიკისა და საბანკო სექტორის განვითარების თავისებურებები.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თქვა, საბანკო სექტორი არ არის განებივრებული ასეთი მონოგრაფიებით.

წიგნი აგებულია ტრანსფორმაციული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში კომპლექსურ ანალიზზე და ეყრდნობა მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს.

დღეს საქართველოში საკმაოდ ჩქარი ტემპით ვითარდება საბანკო სისტემა. იზრდება დეპოზიტები, კომერციული აქტივების მხრივ დინამიკა ძალიან კარგია. ამიტომაც საბანკო სისტემის განვითარებაში ბატონი ირაკლის წიგნი კიდევ უფრო დაგვეხმარება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ავტორს მიულოცა წარმატება და თქვა, რომ მისი ყველა ნაშრომი ბოლომდე აქვს წაკითხული, რომლებიც უაღრესად საინტერესო და საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის. ამ გამოცემაში ფართოდ არის გაშუქებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაზე ფინანსური გლობალიზაციის გავლენის საკითხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრირების შედეგები და პრობლემები.

ძალიან მოხარული ვარ, რომ ბატონი ირაკლი როგორც მეცნიერებაში, ასევე პარლამენტში აქტიურად მოღვაწეობს. იგი ამჟამად მუშაობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე — დეპოზიტების დაზღვევა საქართველოში, რომელსაც პარლამენტი უახლოეს ხანებში განიხილავს.

ქვეყანაში დეპოზიტების გამყარების და დაცვის კუთხით ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამით ჩვენ ადამიანებს და უწყებებს ვაძლევთ იმის გარანტიას, რომ თუ ისინი დეპოზიტებს ქართულ ბანკებში შემოიტანენ, მათ ექნებათ შესაბამისი დაზღვევა, რაც საბანკო სისტემას კიდევ უფრო გააძლიერებს.

მჯერა, რომ ეს ინიციატივა ძალიან სერიოზულ გამოხმაურებას ჰპოვებს, როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტს გარეთაც, თქვა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, — დარწმუნებული ვარ ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები კიდევ უფრო დაჩქარდება.

ბატონმა ირაკლი კოვზანაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გამომცემლობიდან მიღებული მისი წილი წიგნები უფასოდ დაურიგდება სხვადასხვა ბიბლიოთეკებს, სტუდენტებს, რომლებსაც ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოადგებათ და სხვა დაინტერესებულ პირებს.

კარგია, რომ მეცნიერ ირაკლი კოვზანაძის მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საქართველოს და ევროპის საბანკო სისტემებში ამ წიგნში აისახა და მკითხველმა იგი კარგად მიიღო.

**ლალი ქინქლაძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში შექმნილი სიტუაციის შესახებ. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქმის მდგომარეობის აშკარად მიკერძოებული და არაობიექტური შეფასებების გარდა, დოკუმენტის ავტორები უხეშად ესხმიან თავს რუსეთსაც. დადგენილებაში გამოთქმულია ბრალდებები იმის თაობაზე, რომ კონფლიქტები აქამდე არ არის მოწესრიგებული მოსკოვის პოზიციის გამო, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ რუსეთს განზრახული აქვს საქართველოს ნაწილის ანექსირება. მთავარ სამიზნედ შერჩეულია სამშვიდობო ძალები, რომლებიც კონფლიქტების ზონებში განლაგებული არიან მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით. ქართველმა პარლამენტარებმა აირჩიეს ულტიმატუმის ენა: მონიშნულია ვადები, რომელთა ამოწურვის შემდეგაც, საქართველოს მთავრობას ევალება, მიიღოს ზომები ქვეყნის ტერიტორიებიდან სამშვიდობო ძალების სასწრაფო გაყვანისა და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებების დენონსირების მიზნით.**

რუსეთის მხარე ამ დადგენილებას მიიჩნევს, როგორც დაძაბულობის გამწვავებისთვის, არსებული მოლაპარაკების ფორმატების დამსხვრევის, საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის ლიკვიდაციისთვის გამიზნულ პროვოკაციულ ნაბიჯს. ადანაშაულებს რა რუსეთს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობაში, ამ ქვეყნის პარლამენტი აშკარად ცდილობს სხვას დააკისროს პასუხისმგებლობა.

ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთმა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გაიღო დიდი ძალისხმევა იმ ბალანსის შენარჩუნებისთვის, რომელიც ხშირად ირღვევა არა მარტო ქართველი პოლიტიკოსების აგრესიული დეკლარაციებით, არამედ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების სამხედრო ძალის გამოყენებით გადაჭრის არაერთი უშუალო მცდელობითაც. სიტუაციის გაკონტროლება ყოველთვის ხდებოდა მხოლოდ მშვიდობისმყოფლობის მოქმედი მექანიზმის წყალობით.

საქართველოს იმ პოლიტიკურ წრეებს, რომლებიც დგანან დღეს მიღებული დადგენილების უკან, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ მოლაპარაკების პროცესის ფორმატი, რომელშიც რუსეთის გარდა ამოქმე-



დებული არიან გაერო, ეუთო, დსთ, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნები, შეიქმნა კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარის თანხმობით. თბილისის უპასუხისმგებლო აქციებმა შეიძლება აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას. საქართველოში შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ ძალისმიერი ვარიანტი, რომლის გამოყენებაც სურთ ზოგიერთებს, მიუღებელია საერთაშორისო გაერთიანებისთვის.

რუსეთის მხარე მიიღებს ყველა ზომას იმისთვის, რომ უზრუნველყოს არსებული საერთაშორისო მორიგების შესრულება, არ დაუშვას რეგიონში ვითარების დესტაბილიზაცია, დაიცვას იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებები და ინტერესები.

**2005 წლის 12 ოქტომბერი.**

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტი.**

№ 238. პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2005 წელი.

ოჯახი

# გალში შეხვედრამდე, ბატონო კონდრატე!

## ერთი ცხოვრების ფურცლები

**კონდრატე საბულია არც ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, არც ხელოვანი, იგი ერთი პატიოსანი შრომელი, სანიმუშო სპეციალისტი, უღალატო მეგობარი და მამა გახლავთ. ის, იმ საბედნიეროთ ჯიშს, ათასობით ადამიანის მსგავსად, ბუნებამ აყრილა და სიცოცხლის ბოლოს თავის კერაზე დაბრუნება სანატრელ ოცნებად გადაქცევია.**

**დაულაპარაკებით თუ არა, რაღაც რიდი და მოწიწება გიჩნდებათ. მიუხედავად წლების სიძველისა, რომელსაც ერთ დროს არ ახლდა მშობლიური ვაჟკაცისთვის უცვლელი არ ჩაუვლია, რაღაც შინაგანი ძალა მაინც იგრძნობა მის გამოხედვაში და საუბარში, რომელიც პირველი ნახვისთანავე უდიდეს პატივისცემით განგაწყობს მის მიმართ.**

**არაფერი ისეთი საბულიების ოჯახის წევრთა ერთად ხილვას. როგორც ყოველთვის, ყურადღების ცენტრში ბატონი კონდრატეა, ყველა თავის მოვალე თვალს, მოფერებს და ყველა მისი სურვილი უსიტყვოდ შესრულდება. შვილები ცდილობენ, მამის 90 წლის იუბილე, სადაც ორი წლის შემდეგ ზარ-ზეიმით აღნიშნონ. მამის სიტყვა დღემდე გადამწყვეტია ამ ოჯახში.**

**ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე ბატონ კონდრატეს შვილიშვილებს რომ ვუყურებ, თავი ბედნიერ მგონია, ისეთი მშვენიერი შვილები მყავს.**

**ბუნებრივად ჩამოგებული მისი საინტერესო ცხოვრების ფურცლებს ვშლი.**

**— ღირს კი ჩემით თავის შესახებ წერა, — იღიმება ბატონი კონდრატე.**

დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ ლეკუხონაში, გლეხის ოჯახში. მისი მშობლები შვიდ შვილს ზრდიდნენ. შრომისა და პატიოსნების სიყვარულს უნერგავდნენ შვილებს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გააგრძელა. იქიდან, როგორც ბეჯითი ახალგაზრდა, თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მიავლინეს სწავლის გასაგრძელებლად, რომლის დამთავრების შემდეგ გალში გამოგზავნეს ზოოვეტერინარული სამსახურის გასაძღოლად.

იმ დღიდან დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია. თავდამთავრებით შრომობდა და წარმატებას აღწევდა. ... ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ.

1971 წელს რაიონის ხელმძღვანელობის რეკომენდაციით, ყველაზე ჩამორჩენილ მეურნეობას ჩაუდგა სათავეში და მოკლე ხანში მოწინავეთა რიგში გაიყვანა.

ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ ყოველთვის პატიოსნად, ხალხის სიყვარულით. ...

ემადლიერებიან, ვისაც მასთან ოდესმე უმუშავია. გაოცებას იწვევს ის სითბო და სიკეთე, რომელიც ასე უხვად აქვს მომადლებული.

ხელისუფლებისგანაც არ დაკლებია დაფასება. ამას უამრავი სამთავრობო ჯილდო მოწმობს.

— ექიმები ადამიანებს კურნავენ, ვეტექიმები კი კაცობრიობასო, — ეღიმება ბატონ კონდრატეს და დასძენს, — ცხოველებს სხვადასხვა დაავადება უჩნდებათ, რომლებიც არცთუ პატარა ზიანს აყენებენ ადამიანების ჯანმრთელობას. აი, თუ გნებავთ, დღევანდელ მსოფლიოში ასე გავრცელებული ქათმის გრიპი, რომელსაც მეცნიერებმა დღემდე ვერაფერი მოუხერხეს. მეცხოველეობის მუშაკი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს. არ უნდა გამოეპაროს არც ერთი დაავადება, სწორად უნდა გასწიოს პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ჩემს დროს რაიმე მძიმე დაავადების აღმოჩენისთანავე ცხადდებოდა კარანტინი. შეღავათი გამორიცხული იყო.

საზოგადოებრივი დავალებების შესრულებაშიც სულსა და გულს აქსოვდა. რაიკომის წევრი იყო, რაიონული საბჭოს დეპუტატი, თუ გალის სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების გამგე, ყველგან ღირსეულად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ბატონ კონდრატეს ყველაზე მეტად მაინც აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ვეტექიმის წოდება ეამაყება.

ამაგდარი ადამიანი შესანიშნავი დამრიგებელიც იყო. ახალგაზრდა სპეციალისტები მისგან ბევრს სწავლობდნენ, რჩევა-დარიგებასაც ხომ უხვად არიგებდა.

განთქმული თამადა იყო ბატონი კონდრატე, მის მჭევრმეტყველებაში 600-კაციან ქორწილს ისე დაათენდებოდა ხოლმე თავზე, ვერც კი ამჩნევდნენ.

პენსიაზე გასვლის შემდეგ გალის ხეტყის დამზადებისა და დამუშავების კომბინატის დამხმარე მეურნეობის ვეტექიმი იყო, ბოლოს საკუთარი ვეტაფთიაქი ჰქონდა.

— მერე არძინბამ „დამაწინაურა“ და თბილისში გამომგზავნაო, — მწარედ ჩაიღიმა ბატონმა კონდრატემ.

* * *

სიყვარულიც თავის დროზე ეწვია კონდრატეს, საბერიოელმა, ინგლისური ენის მასწავლებელმა ლუსიამ აუჩქროლა გული ყმაწვილ კაცს. ულამაზესი ინტელიგენტი ქალბატონიც გულგრილად ვერ უყურებდა აშოლტილ ჭაბუკს და... მეტი რაღა უნდაო სიყვარულს. შეუღლდნენ. ქუჩაში რომ გაივლიდნენ, ისეთი ლამაზი წყვილი ყოფილა, გამვლელები მზერას ვერ წყვეტდნენ. მალე ზურაბი და მერაბიც მოევლინენ ქვეყანას და მათ ბედნიერებას არაფერი ჩრდილავდა, რომ არა საშინელი სენი, რომელმაც 10 წლის თავზე შვილებს დედა, მას კი საყვარელი მეუღლე გამოაცალა ხელიდან.



ამის გახსენებაზე მოხუცებულს ხმა აუკანკალდა და ცრემლები ველარ შეიკავა — ის ისეთი ლამაზი იყო... მას სიტყვა მივეცი, რომ მასთან ერთად მოვკვდებოდი.

სევდიანად გამიღიმა, — შე ჩემო საწყალო და საყვარელო, მერე ზურაბს და მერაბს ვის უტოვებო. მომაკვდავმა პირობა ჩამომართვა, რომ ბიჭებს არ ვუღალატებდი, — კვლავ ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე ბატონ კონდრატეს.

მერაბმა ატირებული მამა რომ დაინახა, ჩაიმუხლა, მისი ხელები გულში ჩაიკრა და დამშვიდება დაუწყო. ზურაბმა კი, მეორე ოთახიდან პატარა ბლოკნოტი გამოიტანა, აი ეს დედაჩემმა სიკვდილის წინ დაწერაო.

— „დღეს 24 ივნისია, — ვკითხულობ საოცრად ლამაზი ხელით დაწერილ ქალბატონ ლუსიას ბოლო ჩანაწერს, — საავადმყოფოში ვარ, ძალიან სევდიანი. მინდა ჩემი შვილების ნახვა, მაგრამ ისინი ძალიან შორს არიან.

ჩემი ზურაბი 6 წლისაა, მერაბი — 4 წლის. მე მათ ველარასოდეს ვნახავ“.

აქვე ინგლისურად ჩაუწერია რაღაც. იგი ხომ უცხო ენის საუკეთესო სპეციალისტი იყო.

აფხაზეთიდან რომ მოვდიოდი, პირველად მის სურათს დავავლე ხელი, მითხრა ზურაბმა.

— ეკონომიურად არ მიჭირდა, სად არ დამყავდა ბიჭები დასასვენებლად, სასეირნოდ, მოსკოვი და ლენინგრადიც არ დამიტოვებია. ცოლის თხოვნას არ ვაპირებდი, ასე ვიწვალე 6 წელიწადი. ყველა მირჩევდა, მომეყვანა მეორე ცოლი, რადგან ასე მარტო, ბიჭებს ვერ გავზრდიდი, მათ ქალის ხელი ჭირდებოდათ.

ასე აღმოჩნდა ჩემს გვერდით ნუცა კვარაცხელია, გაიღიმა ბატონმა კონდრატემ და იქვე მოფუსფუსე ჭაღარა, სიმპათიურ ქალბატონზე მიმითითა, რომელსაც ბიჭები დედა-დედაო შესძახოდნენ და ვერც კი წარმომედგინა, თუ ის მათი დედინაცვალი იყო.

იმ დროისათვის ტანკენარ ნუცასაც თერთმეტი წლის დაღუპული ჰყავდა მეუღლე, იგი ერთადერთ ქალიშვილს — დალის ზრდიდა, რომელიც მაშინ 17 წლისა იყო.

ბიჭები მალე მიეჩვივნენ ნუცას და უკვე დედას ეძახდნენ. როდესაც ზურაბმა და მერაბმა გაიგეს, რომ ნუცას ქალიშვილი ჰყავდა, გაუხარდათ, — და გვყოლიაო, თავად დაურეკეს და დიდი ხნის მონატრებულ დასავით შეხვდნენ — იქიდან მოყოლებული, ერთმანეთის მზეს ფიცულობენ ჩვენი შვილები, — მეუბნება ქალბატონი ნუცა და თავისი ცხოვრების ამბებს თვალცრემლიანი მიყვება. აფხაზეთში ძმა მომიკლეს და შავები იმიტომ მაცვიაო, — მეუბნება. მერე კი სათქმელს განაგრძობს.

— ერთი-ორი კვირა მიუცხოვეს, განებივრებული ბავშვები იყვნენ, მერე მომეჩვივნენ, ძალიან მალე გავუგეთ ერთმანეთს, ასე განსაჯეთ, ისე წავიდა ჩვენი საქმე, რომ მოშურნეებიც კი გამოგვიჩნდნენ, ამხელა ბიჭები მართლა დედასავით შესციცინებენო. დღემდე ასე მოვდივართ.

— გადამკვდარი იყო ეს ამათზე, — საუბარში ერევა ბატონი კონდრატე, ნუცა რომ არა, ასე ვერ აღვზრდიდი ჩემს ბიჭებს.

ნუცა გალის მე-4 საშუალო სკოლაში ასწავლიდა და შემდეგ საბავშვო ბაღის გამგე იყო.

ქალბატონ ნუცას დიდ ქალობაზე ისიც მეტყველებს, რომ ძალიან დიდხანს ეკიდა საბულიების ოჯახში ბიჭების მშობელი დედის სურათი.

— მე ის არაფერს მიშლიდა, პირიქით, ასე მეგონა, ბიჭების აღზრდაშიც მეხმარებოდა. ცოტა რომ დააგვიანდებოდათ, ან რაიმე მოხდებოდა, მივირბენდი მის სურათთან და დახმარებას ვთხოვდი, სიზმარშიც ვნახე. მითხრა, მიხარია, ყველა რომ კარგადა ხართო. იმის შემდეგ უფრო მეტი შთაბეჭდილებით და პატივისცემით ვიყავი მათი დედის მიმართ განწყობილი.

— დედა, — მეუბნება ზურაბი, — მიცვალებულების დღეებს არასდროს ივიწყებდა. საკურთხს თვითონ ამზადებდა და დედაჩემის საფლავზე გვატანდა, მე მძულს სიტყვა დედინაცვალი, ეს ქალბატონი ჩვენი სულზე უტკბესი დედაა.

— დედამთილი კი არა, — მეუბნება მერაბის მეუღლე ნატო, — ეს ჩემი დედაა. ბევრი ვისწავლე მისგან. მამამთილზე ხომ დაუსრულებლად შემიძლია გელაპარაკოთ. დღემდე მეამაყება მისი რძლობა და ისიც, რომ სწორედაც მისი რჩეული ვარ.

— ბედნიერი ქალი ვარ იმით, რომ რძლებიც საუკეთესოები შემახვედრა განგებამ, — მეუბნება ქალბატონი ნუცა, — ნატო უკვე გაიცანით, აი, ჩემი დარეჯანი უნდა ნახოთ, იგი ამჟამად მივლინებაშია, იმით გვიდგია სული. რუსული ენის ფილოლოგია, ახლა თავისი პატარა ბიზნესი აქვს. ჩვენ აფხაზეთიდან ცარიელ-ტარიელი ჩამოვედით, 11 სული მერაბთან ორ ოთახში ვცხოვრობდით, ეს სახლი კი ზურაბისა და დარეჯანის გაკეთებულია. მათი შვილები — დიმიტრი და სოფია, დაბადების დღიდან ჩემთან არიან, საბავშვო ბაღშიც მათი გულისთვის ვმუშაობდი. აფხაზეთიდან ერთი ჭიქა არ გამოგვიტანია, ახლა უკვე აღარ გვრცხვენია სტუმრის მოსვლისა. ზურაბი მეტროში ინჟინრად მუშაობს, მათი შვილები იურიდიულზე სწავლობენ. მერაბის უფროს ქალიშვილს დედის პატივსაცემად ლუსია დაარქვეს, იგი მომავალი ექიმია, უმცროსი სალომე — ჯერ სკოლაში სწავლობს.

ჩვენი სტუმრობის დროს სალომე ჯარასავით ტრიალებდა. მერაბს შევატყვე, რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს უმცროს ქალიშვილთან.

— ჩემი დიმიტრი გამორჩეული ბიჭია, — სიყვარულით უცქერის ქალბატონი ნუცა მშვენიერ ჭაბუკს. ერთხელ დაბადების დღეზე უჩვეულო საჩუქარი მომიძღვნა — გამოქანდაკებული ხელები წარწერით: „შენი ხელები ჩვენ გვევლებიან, ჩვენს კარგად ყოფნას ეწირებიან“.

— თუ ჩვენ განსაკუთრებით გვწამს და გვჯერა ერთმანეთისა, ეს ნუცას დამსახურებაა — ერთმანეთს არ აცლიან მამა-შვილები ქალბატონი ნუცას ქებას. — თუ რამეს მოვესწარი, ამის ჭკუითა და გონებითაც. ახლა ჩვენს დალის 7 შვილიშვილი ჰყავს და, გამოდის, მეც მოვესწარი შვილთაშვილებს, — ნუცასნაირი ქალი რომ არ შემხვედროდა დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი, — ბრძანებს ბატონი კონდრატე. დღემდე მისი მეშვეობით მოვდივარ. ჭკვიანი, თავიანი ქალია.

— უდედობა არ მიგრძვნია, — მეუბნება მერაბი, — დედინაცვალი გყავსო, ვერავინ მკადრებს, ჩემი და 18 წლისა იყო, რომ გათხოვდა. დალი ხუმრობდა, — დედაჩემს თქვენ რომ გდევდათ, იმდენი ჩემთვის რომ ედევნა, ორი უმაღლესი მექნებოდა დამთავრებულიო. მართლაც ასეა.

— დედაჩემი ნუცა მართლაც საოცარი ქალია, — მეუბნება ზურაბი, — მერაბი ორი წელიწადი აბარებდა ნოვოსიბირსკში. დედა თან ახლდა. თავად იატაკზე იწვა, მას კი არაფერს აკლებდა. მერაბი მეორე წელს მოეწყო, მაგრამ დედამ ჩუმად დაურეკა მამაჩემს, ეს კი მოეწყო, მაგრამ ამისი მარტო აქ დატოვება არ შეიძლება, გოგოები არ ასვენებენ და რაღაცას გადაეკიდებაო. მამაჩემმა დიპლომატიური მოლაპარაკებით აიძულა და უკან ჩამოიყვანა. ასე გადავურჩით რუსის ქალებს, — ეღიმება ზურაბს.



საბულიების ოჯახი.

**ია. მე-5 გვ.**

ინფორმაცია

## რუსებს პანკისის ხეობა ისევ გაახსენდათ

**საქართველოს** შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ოფიციალური მოსკოვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკები იმყოფებიან.

„ეს ტერიტორია ამჟამად ისეა დაცული, როგორც არასდროს“, — აცხადებს შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე.

მისივე თქმით, თუ ბოევიკები საქართველოდან ჩეჩნეთში გადადიან, მაშინ რას აკეთებენ რუსი მესაზღვრეები და სხვა სტრუქტურები, რომლებიც რუსეთის საზღვარზე იმყოფებიან.

ცნობისთვის: რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რეგიონული ოპერატიული შტაბის უფროსმა არკადი ედელევმა განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორია ჩეჩენი ბოევიკებისთვის კვლავ სატრანზიტო სივრცეს წარმოადგენს. ისინი ამ გზით ჩეჩნეთში ბრუნდებიან. მისივე მონაცემებით, რამდენიმე ათეული ბოევიკი პანკისის ხეობაში უკვე იმყოფებოდა სამკურნალოდ.

## კობა დავითაშვილის კანდიდატურა მიუღებელია

**პარლამენტის** თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისთვის „კონსერვატორთა“ ლიდერის კობა დავითაშვილის კანდიდატურა მიუღებელია.

კომისიამ საბაჟო ტერმინალ „ოპიზაში“ უმრავლესობის წევრების ბიზნეს-ინტერესები უნდა შეისწავლოს.



ნინო ბურჯანაძის თქმით, კობა დავითაშვილმა თავიდანვე გამოხატა საკუთარი პოზიცია ბექაური-რამიშვილის სკანდალთან დაკავშირებით და შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობით საგამოძიებო კომისია ობიექტურად ვერ იმუშავებს.

„თუ კონსენსუსის მიღწევა გვინდა, პარლამენტის სხდომაზე არ უნდა დავსვათ ისეთი საკითხები, რომლებიც ვერ გავა“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## ოპოზიცია ითხოვს



**საპარლამენტო** ოპოზიციამ დეპუტატ გიორგი არველაძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მოითხოვა.

„არველაძე არის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და პარალელურად არის დეპუტატი და პარლამენტში ხელფასს იღებს. მას გაცდენები საპატიო მიზეზად ეთვლება იმ მოტივით, რომ ასრულებს პრეზიდენტის დავალებებს. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, სად მუშაობს არველაძე — პარლამენტში თუ კანცელარიაში. დეპუტატის მიერ კანცელარიაში შეთავსებით მუშაობა არღვევს კონსტიტუციას“, — განაცხადა „მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ოპოზიციონერებს განუმარტა, რომ არველაძეს ვერ შეუწყდება უფლებამოსილება, რადგან ამ დეპუტატის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ ნორმატიული აქტი ჯერ არ გამოსულა.

„თუ თქვენ გინდათ, რომ ეს საკითხი უმრავლესობაზე ზეწოლის იარაღად აქციოთ, არ გამოგივათ,“ — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ კი აღნიშნა, რომ არველაძეს გაცდენები საპატიოდ არ ეთვლება და მას ხელფასი ექვითება.

## ელენე თევდორაძე უკმაყოფილოა



**პარლამენტის** ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე კვლავ აღშფოთებას გამოხატავს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქციელის გამო.

თევდორაძის თქმით, საგარეო უწყებამ არ შეასრულა პირობა და საკანონმდებლო ორგანოში არ გაგზავნა ევროსაბჭოს კონვენციასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

„მაცნობეს, რომ თურმე საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტაცია სახელმწიფო კანცელარიაში გადაუგზავნია. რა უნდა ამ დოკუმენტებს კანცელარიაში, ჩემთვის გაუგებარია,“ — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ამ კონვენციის მიხედვით, საქართველო ევროსაბჭოს წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ დაიცვას ეროვნულ უმცირესობათა ენა.

მედიანიუსი

მხარე

# „ჭიაკოკონობა“ ფინანსური პოლიციის ეზოში

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს პოლიცია მუშაობს — ცოდვას ვერ ვიტყვით, მაგრამ კიდევ უფრო მეტი აქტიურობით მუშაობენ... კონტრაბანდისტები, ცხინვალის ხელისუფლებაც ხელს უწყობს უაქციზო ტვირთების შემოდინებას. ჯერ ერთი, ამით ოს მებაჟეებს ხეირი აქვთ, ფული თუ არ წაართვეს, ტვირთს კი არა, მგზავრს არ გამოატარებენ, მეორეც, როკის გვირაბში რაც მეტ კონტრაბანდულ ტვირთს გამოუშვებენ, მით მეტი ზიანი მიადგება საქართველოს ეკონომიკას. ესეც ხეირია.**

ამ დღეებში, 8 ოქტომბერს, თბილისელები — „მერსედეს-ბენცის“ მძღოლი რევაზ კუბათაშვილი და ტვირთის პატრონი ლენა ხრიკული ღამით ცხინვალიდან გამოვიდნენ. მოჰქონდათ 8252 ლარის ღირებულების 5470 კოლოფი რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი. „კრიტიკული“ ადგილები მშვიდად გამოიარეს და ის იყო „მერსედეს-ბენცს“ ტრასაზე უნდა „ფრთები გაეშალა“, რომ გზაზე პოლიციელები გადაუდგნენ...

მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, ამჯერად ცხინვალიდან მომავალ „ჟიგულს“ გაადევნა ეჭვიანი მზერა ფინანსურმა პოლიციამ. ყოველი შემთხვევისთვის გააჩერეს. მძღოლმა სიბნელით ისარგებლა, მანქანიდან გადმოხტა და გაუჩინარდა. „ჟიგული“ და 3180 ლარის ღირებულების 2000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი კი პოლიციას დაუტოვა...

ხშირად გვეკითხებიან: როგორია ამ დიდი ოდენობით ფინანსური პოლიციის მიერ ჩამორთმეული სიგარეტების ბედი, სად მთავრდება მათი „მოგზაურობა“?

როგორც კი სასამართლო ნივთმტკიცებად ცნობს უცხოური წარმოების, ამ შემთხვევაში, თამბაქოს ნაწარმს ქართული აქციზული მარკის ნიშანდების გარეშე და ამის თაობაზე განაჩენს გამოიტანს, კონტრაბანდული ტვირთი ნადგურდება.

დიდი ოდენობის კონტრაბანდული თამბაქოს ნაწარმი განადგურდა გუშინწინ გორში, ფინანსური პოლიციის ეზოში, შპს „აგროტერმინალის“ ტერიტორიაზე.

პოლიციელებმა საწყობიდან „მსჯავრდადებული“ 242640 თამბაქოს კოლოფი გამოიტანეს, დაყარეს ეზოში და ცეცხლს მისცეს.

ალი ავარდა და სეირის მოყვარულებმაც არ დაახანეს — მოვიდნენ ახლომახლო სახლების მცხოვრებნი, გამვლელები; აქ იყვნენ შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის სამმართველოს მუშაკები თავიანთი თავკაცის ზურაბ არსოშვილის თავკაცობით. იწვოდა 4852800 ცალი სიგარეტი, მოკლედ, ეს იყო მილიონობით ცალი უაქციზო სიგარეტით დანთებული „ჭიაკოკონობა“, რომელმაც დიდი და პატარა გაამხიარულა.

სანახობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მის საყურებლად ჩერდებოდნენ არა მარტო ქუჩაში გამვლელები. „ფორდის“ მარკის ავტომანქანა მოადგა ტროტუარს, გაჩერდა, მძღოლი გადმოვიდა და აბრიალებულ თამბაქოს კოცონს ცნობისმოყვარედ დაუწყო ცქერა. სახეზე ირონიული ღიმილი დაჰკრავდა.

— შეხედე, ერთი, რა ნაცნობი სახე აქვს, — წყნარად უთხრა იქვე მდგომმა პოლიციელმა თავის მეგობარს.

— ჰო, იმდენად ნაცნობი, რომ ზედმეტი არ იქნებოდა მაგის მანქანა გაგვესინჯა.

მძღოლს მანქანა ეზოში შეაყვანინეს, შიგ შეიხედეს და... ორი ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი უპოვნეს.

მძღოლი მართლაც „ნაცნობი“ აღმოჩნდა — გამოუსწორებელი კონტრაბანდისტი.

შედგა ოქმი. უაქციზო თამბაქოს ნაწარმი მძღოლს ჩამოართვეს და საწყობში შეიტანეს მომავალი „ჭიაკოკონობისთვის“.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

მორევი

# სევდის საბუდარი

## რატომ შეიყვანეს საქართველო 50 დემოგრაფიულად მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში?

**გერმანია ახალ კანცლერს ელის. ქვეყნის ისტორიაში ამ პოსტს პირველად დაიკავებს ქალი — ანგელა მერკელი. წინასაარჩევნო დებატებისას, როცა ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გერჰარდ შრედერი და ანგელა მერკელი, წინა პლანზე წამოიწია სერიოზულმა ბრალდებამ, — ახლანდელი ხელისუფლებაო (უპირველესად, გერჰარდ შრედერიო) ნაკლებად ზრუნავს ადამიანების დასაქმებაზეო. ახლა ქვეყანაში 5 მილიონი უმუშევარია და ეს ცოდვა სწორედ ახლანდელი კანცლერის კისერზეაო.**

თავდაპირველად ეს ბრალდება თითქოს არაფრად მიიჩნიეს, მაგრამ საბოლოო ჯამში მან მაინც „იმუშავა“, ანგელა მერკელის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ ბუნდესტაგში მეტი ხმები მოიპოვა და მისი ლიდერი კანცლერობის კანდიდატად გამოცხადდა...

ჩვენთან ამ მხრივ რა ხდება? ... გამოგვიჩნდა ... ადგილი ... თუ არა საქართველოში, სხვა სად იქნება. ექსპერტთა მტკიცებით, ამჟამინდელი მოსახლეობის 65-70 პროცენტი ეკონომიკურად აქტიურია, თუმცა, მათი 40-45 პროცენტი უმუშევარია. მიუხედავად ამისა, სამუშაო ადგილები კი არ იქმნება, პირიქით, ხალხი სამუშაოდან იყრება, — ყოველთვიურად, ყოველდღიურად. თურმე 2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში სამუშაო ადგილების შესაქმნელად ჩადეს 5 მილიონი ლარი, 2004 წელს — 2,4 მილიონი, 2005 წელს კი — 1,7 მილიონი. გამოდის, რომ სახელმწიფო თავად უწყობს ხელს უმუშევრობის ზრდას, მისი დონის შენარჩუნებას. არადა, ყველა უბედურება სწორედ ამ უმუშევრობას მოსდევს.



კერძოდ, უმუშევრობის ბრალია სიღარიბის მოძალება, ავადმყოფობების მომრავლება, საზღვარგარეთ გაქცევა, მოსახლეობის შემცირება, ოჯახების დანგრევა, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში ჩახრჩობა, დანაშაულის ზრდა...

თვით გაეროს დემოგრაფიული დეპარტამენტის პროგნოზით, უახლოეს 10 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა განახევრდება, და ეს დარჩენილი ხალხიც, — გადაბერდება. ჩვენი ქვეყანა შეყვანილია 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში. არ გაგისკდება კაცს გული? სხვადასხვა შეფასებით, ქვეყნიდან გასულია მილიონამდე ადამიანი (ოფიციალური მონაცემებით — 250 ათასი ადამიანი). დაე, იყოს ამის ნახევარი, მაგრამ აქ სხვა დეტალია სავალალო და სატირალი: 2.559 ადამიანი თურმე უცხოეთის სახელმწიფოებს ლტოლვილად ჩაბარდა და მათ სამათხოვრო ხელი გაუწოდა (?).

რაც ახლა საქართველოში მათხოვარია, ისიც თავმოსაჭრელია და უცხოეთში ჩვენი ხალხის მათხოვრობა ხომ ქართველი კაცის სიამაყის მიწასთან გასწორებაა. თუმცა, რა ქნას ხალხმა? რაგინდაც მაგრად ვილაპარაკოთ ქართველობაზე, ჩვენი ერის სინდისნამუსზე, ადათ-წესზე, ფუყე ყოყოჩობა ქოლგას ვერ გადაგვაფარებს. ცხოვრება სასტიკია, რეალობა კი — მწარე.

ისევ ექსპერტთა უმრავლესობას არა სჯერა, რომ საქართველო ასე მოკლე პერიოდში გაქრება, მოისპობა, მაგრამ საამისო სიმპტომები ხომ არის? თუ არ გავქრებით, ისე ცოტა დავრჩებით, რომ ჩვენ დაგვჭირდება ავტონომიის მოთხოვნა საკუთარ მიწაზე (!). დიახ, ამის ვარაუდიც არის, თანაც საუკეთესო შემთხვევაში.

დაბოლოს: ვინ იცხოვრებს ასეთ ავტონომიაში? ჭკვიანი, განათლებული, შეძლებული და მარიფათიანი ხალხი ქვეყანაში არ გაჩერდება, უცხოეთში გაიკრიფება. აქ დარჩება ღარიბი, ავადმყოფი, მათხოვარი, უმუშევარი, ლოთი, ნარკომანი, ქურდი... ცხადია, ეს არ იქნება საქართველო არც დავით აღმაშენებლისა და არც გიორგი სააკაძისა, ეს იქნება სევდის საბუდარი. შეიძლება გვქონდეს მოასფალტებული გზები, შეღებილი სახლები, მომღერალი შადრევნები, მაგრამ არ გვექნება ის, რითაც საქართველო და ქართველი აქამდე ცოცხლობდა და ამაყობდა.

იმედის ნაპერწკალი: სტატისტიკოსთა მონაცემებით, წლევანდელ 9 თვეში გარდაიცვალა 25295 პირი, ხოლო შეგვემატა — 33 197 ახალშობილი. იცოცხლეთ, მატება კარგია, მაგრამ თუ მათაც გასაქცევად და სამათხოვროდ გაუხდათ საქმე? აი, რა არის საფიქრალი!

**ბონდო გულიაშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 238, პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2005 წელი.

# ახალი თაობა არ გაწყვეტს იმ მაცოცხლებელ ძარღვს, რომელსაც ქართული კლასიკური მწერლობა ჰქვია

***ჟურნალმა „ლიტერატურულმა პალიტრამ" უცებ მოიპოვა პოპულარობა, რაც ჩვენს პრაგმატულ და გულგრილ დროში შემთხვევით არ მოდის. იგი არსებობის ერთი წლის თავზე მკითხველის უსაყვარლესი გამოცემაა, ჟურნალს გამოსვლისთანავე „იტაცებენ" ჯიხურებიდან. თავად მწერლები „ლიტერატურული პალიტრის" დაბადებას უბრალო მოვლენად არ მიიჩნევენ. თამაზ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, ზაალ სამადაშვილი, გიგი სულაკაური და სხვები ფიქრობენ, რომ ახალი სალიტერატურო ჟურნალის გამოსვლა აუცილებლობამ განაპირობა, დიდმა გაბედულებამ, რისკმა, თავდადებამ და სიყვარულმა დაბადა სრულფასოვანი გამოცემა, რომელიც ნაღდ ლიტერატურას მოემსახურება. თუმცა სჯობს თავად ჟურნალის რედაქტორს, თამარ მამაცაშვილს მოვუსმინოთ.***



**— რამ განაპირობა ახალი ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა?**

— რევოლუციური ცვლილებებით აღსავსე ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. ასეთი პერიოდი კი ყოველთვის იწვევს მკვეთრ კრიზისულ სიტუაციებს საზოგადოების ცნობიერებისა და ყოფიერების ყველა სფეროში. ბუნებრივია, ცვლილებები არანაკლები სიმძაფრით აისახა კულტურაზეც — ჟამის სიავემ მოიტანა ისიც, რომ მკითხველი დააშორა მწერალს: ქართველ მკითხველს მოენატრა ლიტერატურა, ქართველ მწერალს კი მოაკლდა სითბო, სიყვარული და ყურადღება თავისი მკითხველისაგან.

ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის" დაბადებას ეს უდევს საფუძვლად, — კარგი ლიტერატურის მონატრება. მონატრება იმისა, რაც აქვეა, ჩვენს გვერდითაა, მეტიც — ჩვენშივეა. მაგრამ რატომღაც მასთან მიახლოების საშუალება არ გვეძლევა. ჩვენი დიდი სურვილი იყო, შეგვევსო ჩვენშივე არსებული სიცარიელე.

***— ჟურნალმა საკმაოდ მოკლე დროში მოიპოვა ლიტერატურის დამფასებელთა სიყვარული. რამ განაპირობა თქვენი ასეთი პოპულარობა?***

— ჟურნალი ცდილობს, შეძლებისდაგვარად, წარმოაჩინოს დღეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესები — ჩვენი კარი ღიაა ყველა თაობის, ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვის. იმთავითვე ჩვენი ჟურნალი გათვლილი იყო არა მხოლოდ ე. წ. პროფესიონალი მკითხველისათვის, რომელიც კარგად ერკვევა თანამედროვე ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში, არამედ ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც მოწყურებულია მხატვრულ სიტყვას.

ჟურნალის თავისებურება არის ის, რომ ყველა ავტორი წარდგება მკითხველის წინაშე არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ გააცნობს მას თავის პიროვნულ მესაც.

***— თქვენს ჟურნალში ვნახულობთ ერთ დროს უკვე დაბეჭდილ ნაწარმოებებსაც. ზოგს მოსწონს ეს, ზოგს კი — უკვირს...***

— როდესაც ჟურნალის შინაარსზე ვმსჯელობდით, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ახალბედა მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებმაც თავის დროზე არაერთ თაობას აგრძნობინა მხატვრული სიტყვის მადლი.

***— როგორია ახალი თაობის ლიტერატურული ტენდენციები, ანუ ახალი თაობა ახალ საუკუნეში?***

— ახალი თაობის ლიტერატურულ ტენდენციებზე ბევრი ითქვა — ავიც და კარგიც. ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმ ახალგაზრდა მწერლებზე შეგვიძლია ვისაუბროთ, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ: მათ მოაქვთ თავიანთი ტკივილი, იმედი, მეამბოხე სული და სიახლის წყურვილი.

სიტყვის თავისუფლებამ ახალი თაობის მწერლებს მეტი გასაქანი მისცა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ეს თავისუფლება კადნიერებაში გადაიზარდება ხოლმე. ხოლო ახალი ფასეულობების დამკვიდრების სურვილით ზოგჯერ ისინი უნებლიეთ იმ ფესვსაც მოიკვეთენ ხოლმე, ურომლისოდაც ვერცერთი ნერგი ვერ იხარებს. მაგრამ ჩვენს ავტორებთან უშუალო ურთიერთობამ დაგვარწმუნა, რომ ახალი ლიტერატურული თაობა არ გაწყვეტს იმ მაცოცხლებელ ძარღვს, რომელსაც ქართული კლასიკური მწერლობა ჰქვია.

***— თქვენი ჟურნალი კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. მაშინ, როცა რამდენიმე სოლიდურ გამოცემას უარი ეთქვა.***

— ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი აღმოჩნდა ჟურნალის სიცოცხლისუნარიანობა. დაფინანსების მიღებამდე ჩვენ უკვე გამოცემული გვქონდა ათამდე ნომერი და ტირაჟიც რამდენიმე ათასს ითვლიდა. ჩვენი ძირითადი დამფინანსებელია „კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლი, ხოლო კულტურის სამინისტრო თანადამფინანსებელი გახლავთ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მათ.

***— ლიტერატურული კრიტიკა, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. როგორ დაეტყო ეს თქვენს ჟურნალს?***

— სამწუხაროდ, ლიტერატურული კრიტიკა დღეს უფერულად გამოიყურება: მძაფრი პოლემიკური წერილები, რომლებიც უფროს თაობას ახსოვს, ესეისტურმა ჟანრმა თუ ლიტერატურულმა განსჯამ შეცვალა და სხვათა შორის, ეს პროცესი მხოლოდ ქართული ლიტერატურული ცხოვრებისთვის არ არის დამახასიათებელი. თუმცა ამ ფონზე ჩვენ საინტერესოდ მიგვაჩნია „ლიტერატურულ პალიტრაში" დაბეჭდილი ნუგზარ მუზაშვილისა და ლალი ავალიანის წერილები, კვლავაც ველით ჯანსაღ, პროფესიულ კრიტიკას, რომელსაც სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენს ჟურნალში.

***— ხომ არ აპირებთ ლიტერატურული კონკურსის გამართვას საკუთარი ძალებით?***

— შარშან, წიგნის დღესთან დაკავშირებით, ჟურნალმა „ლიტერატურულმა პალიტრამ" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო წლის საუკეთესო მოთხრობების დაჯილდოებაში. ჩვენი ნომინანტები გახდნენ ნუგზარ შატაიძე და თამრი ფხაკაძე. სამომავლოდ კი კიდევ უფრო სერიოზული გეგმები გვაქვს.

***— ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს თან ახლავს ბლანკი, რომლის მეშვეობით მკითხველთა ანკეტურ გამოკითხვას აწარმოებს. როგორია მისი შედეგები?***

— ბევრს არც კი სჯერა, რომ კომპიუტერებისა და SMS-ების ხანაში რედაქციაში უამრავი წერილი მოდის. გვეფერებიან, მადლობას გვითვლიან და სურვილებსა და შენიშვნებსაც გვიზიარებენ. ჩვენი მხრივ კი ვცდილობთ, ანკეტური გამოკითხვის შედეგები ჟურნალის მორიგი ნომრების დაგეგმვისას გავითვალისწინოთ.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ჩვენი სტუმარი — „ლიტერატურული პალიტრა" ერთი წლისაა



**მიხო მოსულიშვილი, მოწვეული რედაქტორი:**

მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საქართველოში არის 20-30 ნამდვილი მწერალი, რომლებზეც შეიძლება ერთმა ლიტერატურულმა ჟურნალმა წარმატებით იმუშაოს და ქვეყანას გააცნოს ნამდვილი ლიტერატურა, იქნება ეს პროზა თუ პოეზია და არა — მისი სუროგატი. სწორედ ამის სურვილით მოვედი ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში" როგორც მოწვეული რედაქტორი და მას შემდეგ ვცდილობ, დაჯგუფებების, ასაკის, ნაცნობობის და ა. შ... კი არა, მხოლოდ ერთი კრიტერიუმით — ნიჭიერების მიხედვით ვითანამშრომლო ავტორებთან. თუ რამდენად ვახერხებთ ამას, ეს ჩვენი რამდენიმე ათასი მკითხველის განსასჯელია.

**მანანა ჯანელიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

ჟურნალში უმეტესად რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები იბეჭდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ ავტორის მიერ შემოთავაზებულ ნაწარმოებზე. რედაქციაში შემოსულ მასალათა გადარჩევისას, როდესაც ნიჭიერად დაწერილ ფრაზას წავაწყდები, სიხარულს ველარ ვიტევ და მთელ რედაქციას ცალ-ცალკე ვუკითხავ.

ერთიც არის, — არსებობს რაღაც ზნეობრივი კრიტერიუმი, გნებავთ, შინაგანი ცენზორი დაარქვით, გნებავთ, სინდისის ხმა — ზღვარი, და ნაწარმოები, რომელიც ამ ზღვარს გადადის, რა ნიჭიერებითაც უნდა იყოს შეზავებული და კომერციულადაც მომგებიანი, ჩვენთან არ დაიბეჭდება. ამაში რედაქცია ერთსულოვანია.

**ლია შარვაშიძე, სტილისტი:**

ჩვენს ჟურნალში უკვე არა ერთი ახალგაზრდა მწერლის დებიუტი შედგა და, ვფიქრობთ, საკმაოდ წარმატებულადაც. მათ შორის დავასახელებდი სანდრო კაკულიას, თავისი ვრცელი მოთხრობით „რადიოამბავი", რომელსაც ჩვენი მკითხველის დიდი მოწონება ხვდა წილად. ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა თაკო ბუიღლიშვილის, ლევან ლორიას მოთხრობები. რომელი ერთი ჩამოვთვალო. აგერ ახლახან ლუკა ბაქანიძის შესანიშნავი ლექსები დავსტამბეთ. მიხარია, რომ ლუკამ თავისი უნიჭიერესი მამის საქმე გააგრძელა და ღირსეულადაც.

მოგეხსენებათ, კომპიუტერების ერაა და უმეტესად კომპიუტერული ვერსიები მოგვდის. რა თქმა უნდა, ეს ძალზე გვიადვილებს მუშაობას. მით უმეტეს, რომ ზღვა მასალაა დასამუშავებელი. ხშირად ავტორს არც ვიცნობთ, ჯერ მის ნაწარმოებს ვკითხულობთ. უნდა გითხრათ, მეტად საინტერესო და დამაინტრიგებელი პროცესია.

**ქვემოთ გთავაზობთ ნუგზარ შატაიძის ნოველას ჟურნალის ახალი ნომრიდან, რომელიც ჯერ არ გამოსულა.**

**ნუგზარ შატაიძე**

# ტრეფიკინგი

**„ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა"**
**ჟამთააღმწერელი**

ტყეში რაღაც გაფაჩუნდა.

ოსმანამ ყურები ცქვიტა, მიწაზე წამოჯდა და იქაურობას თვალი მოავლო. მინავლულ ცეცხლთან დაღლილი ტყვეები იწვნენ და მკვდრებივით ეძინათ. სიბნელეში დაბორკილმა ცხენმა დაიხვიხვინა.

თურქმა გატენილი დამბაჩა აიტაცა და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

ტყიდან შავი ლანდი გამოვიდა, ზურგზე ტომარა ეკიდა და მძიმედ მოდიოდა.

ტომარააკიდებული კაცი საშიში არ იყო და ამიტომ ოსმანამ ჩახმახი დაუშვა. ახლოში მომავალ კაცს ჩუმად უყურებდა, მერე დამბაჩა უნაგირზე დადო და ჯერ ისევ მბჟუტავ მუგუზლებს ხმელი, ფოთლიანი ჩინჩხვარი მიაყარა.

ფოთოლი აბრიალდა და ცეცხლმა სიბნელეს პატარა, კალოსოდენად განათებული ადგილი გამოსტაცა, სადაც ძონძებში გახვეულ სამ პატარა ტყვეს — ორ ბიჭსა და ერთ გოგოს ეძინათ.



მალე იმ განათებულ წრეში ტომრიანი გლეხიც შემოვიდა და ოსმანამ ახლაღა შენიშნა, რომ იმ კაცს ზურგზე ტომარა კი არა, მძინარე ბავშვი ეკიდა.

— გამარჯობა არ იცი, კაცო, შენ?! — გაეცინაო ოსმანას.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო!

— ვინ ხარ, სადაური ხარ.

— გიგილოს მეძახიან, ქასრიეთი ხო გაგიგონია?

— როგორ არა!

— ე, იქიდან ვარ.

— მაი ბღარი სა იშოვე?

— ჩემია, ბატონო.

— ნამდვილად?

— კი, ჩემია.

— რა ხნისაა.

— რვა წლის შესრულდება ამ შემოდგომაზე.



ოსმანა წამოდგა და გლეხს ზურგიდან მოუარა.

— ბიჭია?

— გოგოა, ბატონო. მომეხმარე, თუ კაცი ხარ, ჩამომასმევინე.

ოსმანამ ბავშვს იღლიებში შეუყო ხელი, ასწია და მისკენ შემობრუნებულ გიგილოს ხელებში მიაჩეჩა.

ბავშვს გაეღვიძა და ლეკვივით აწკმუტუნდა.

— რატო ტირის, ავათ ხო არაა.

— ღმერთო კი მომკალი! რა უგავს ავადმყოფს, ბატონო, შია, დილას აქეთ ლუკმა არ ჩასვლია პირში.

— დასვი, ეგერ, ცეცხლთან, — ოსმანამ ხის ტოტზე ჩამოკიდებული აბგიდან ნახევარი მჭადი ამოიღო და გლეხს მისცა.

— იცოცხლე, ბატონო, არ დაგივიწყებ სიკეთეს, თუ კაცი ვყოფილვარ!

გიგილომ მჭადს ცოტა ჩამოატეხა, ლუკმა პირში გაიქანა, დანარჩენი კი ბავშვს ჩაუდო ხელში.

ოსმანამ დამბაჩა აიღო და უნაგირზე ჩამოჯდა.

— მოდი, აბა, დაჯექი, დავილაპარაკოთ!

მამამ ხელში მჭადჩაბღუჯული შვილი ცეცხლთან დასვა და თვითონ თურქთან მივიდა.

— თქვი ახლა მართალი — ვისია აგი ბღარი.

— ჩემია, ბატონო, ა, თუ არ გჯერა! — გლეხმა პირჯვარი გადაიწერა.

— მაგისთანას ასს გადავიწერ, თუ გინდა, — ოსმანამ ბავშვს გახედა, რომელიც მჭადს ილმურძლებოდა, — ვინაა, გოგო, აი კაცი შენი!

— მამაა! — ამოიზმუვლა მჭადით პირგამოტენილმა ბავშვმა.

— ა, ხო გითხარი! — გაუხარდა გლეხს.

— დაჯექი მერე, რავა ასასივით დამდგომიხარ თავზე!

გიგილო ფეხებთან მიუჯდა და შემტვერილ ჩექმაზე მოფერებით დაუსვა ხელისგული.

— ლამაზი გოგოა ძალიან.

— შენ თუ გგავს, კი იქნება ლამაზი, — გაიცინა ოსმანამ.

— დედას გავს.

— წითელა ბატონები მოხდილი აქვს?

— კი, რავა არა!

— ყივანახველა?

— ყივანახველაც.

— ტყუილი არ თქვა, იცოდე.

— ხვთის სახელს ვფიცავარ! — გიგილოს ისევ შუბლისკენ გაექცა სამი თითი, მაგრამ პირჯვარი აღარ გადაუწერია.

— რვას მოგცემ და წადი შენი გზით.

— აბა, თორმეტიო?!

— რაის თორმეტი?!

— ნუ დამჩაგრავ, ბატონო, სოსოიეს გოგო ქე გიყიდია თორმეტად და...

— სოსოიე?

— ჩვენებური, ქასრიეთელი...

— კაი, აბა, ათი და გავათავოთ!

— ცოდვა ვარ, ბატონო! — ტირილნარევი ხმით თქვა გიგილომ და თავი ჩაღუნა.

— მე არ ვარ ცოდვა, რო დავწანწალებ ამ ტყე-ღრეში ნადირივით? — ოსმანამ სარტყელში გაჩრილი ქისა ამოიღო, თავი გაუხსნა და ხელისგულზე ლითონის ფული გადმოყარა, — ა, შენ თერთმეტი და ბასტა!



— თორმეტიო, სოსოიემ და... აწუწუნდა გიგილო.

ოსმანა გაბრაზდა:

— თუ იღებ, ეიღე, თუ არა და, მეიკიდე ზურგზე ეს შენი ბალანა და წეიყვანე უკან!

— მეიტა, რას ვიზამ...

თურქმა ფული გამოწვდილ მუჭში ჩაუყარა.

გიგილომ დათვალა.

პირველ დათვლაზე თორმეტი გამოუვიდა, მეორეზე — ათი, ამიტომ თვლას შეეშვა და ფული ბაღდადში გამოკრა.

— იცოდე, არ დაკარგო მაი ფული და უკან არ მომადგე, თვარა აგიჭრელებ გვერდებს მათრახით.

— არა, ბატონო, რავა გეკადრება! — წამოდგა გიგილო, — ახლა რა უნდა გთხოვო, თუ იცი...

— რა?

— სტამბოლში მიგყავს ესენი, ხო?

— ტრაპიზონში. რა იყო?

— სტამბოლი და ტრაპიზონი რამ გაყო, მარა, თუ კაცი ხარ, აგი ბალანა მდიდარ კაცს მიმიყიდე, ლამაზი ქალი დადგება და ცოდვაა ღარიბის ხელში.

— ნუ გეშინია, რავარც შენ გინდა, ისე იქნება ყველაფერი, — დაამშვიდა თურქმა.

— კაი, აბა, წავალ მე, — წამოდგა გიგილო.

ბავშვს მჭადი სულ შეეჭამა, ახლა თავისზე ცოტა უფროს გოგოს მისწოლოდა ზურგში და ეძინა.

მამამ შვილს ძლივს მოსწყვიტა თვალი, მერე შებრუნდა და როგორც კი ცეცხლის შუქით განათებული წრიდან გავიდა, მაშინვე გაუჩინარდა.

თურქი ერთხანს სიბნელეს უყურებდა, მერე გულაღმა გადაწვა, თავი უნაგირზე მიდო და თვალები დახუჭა. რაღაც შეუცნობელი სევდა უღრღნიდა შიგანს.

ტყეში რომ შევიდა, გიგილომ ბაღდადი საიმედოდ შემოიკრა წელზე, თან თავისთვის ფიქრობდა:

„რა იცი, იქნებ ბეგის ცოლობასაც კი გამოკრას ხელი — ეგერ კაკოიეს ცუცა ვერ ყოფილა განცხრომაში?"

გაჩერდა და უკან მიიხედა: ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა, ერთმანეთს ჩახუტებულ ბავშვებს ტკბილად ეძინათ. თურქი უნაგირზე მიწოლილიყო, თუმცა რის თურქი — გიგილომ იცოდა, რომ იმ კაცს ბეჟანი ერქვა, ქართველი იყო, ქრისტიანი, თავი ყასიდად შეეხვია ჩალმით.

ბაღდადში გამოკრული ფული ხელით მოსინჯა, — „ამ ზამთარს რამეფრად გევიტანთ თავს და გაზაფხულზე ბიჭიც ქე მოყვინჩილდება".

## ◉ პოეტის გული

**დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ნოდარ ადეიშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ბატონო ნოდარ!**



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ გამორჩეულად კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ქართველმა მკითხველმა და სალიტერატურო კრიტიკამ გულთბილად და მოწონებით მიიღო თქვენი პოეტური კრებულები. ამ კრებულებში შესული ლექსების ლირიკული გმირი ლაღად, უშუალოდ და გულწრფელად გვესაუბრება წუთისოფლის წარმავლობაზე, სიყვარულზე, ღალატზე, სიკეთესა თუ ბოროტებაზე, გვესაუბრება სამშობლო ქვეყნის გადარჩენაზე, გვესაუბრება რწმენითა და იმედით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წლების მანძილზე საქართველოს ენის პალატის წარმომადგენელი იყავით სამტრედიის რაიონში და ხმალამოღებული იცავდით ქართული ენის სიწმინდესა და ღირსებას, იმ ღირსებას, რომლის დაკნინებასა და იავარქმნას ცდილობენ საქართველოს მტრები. ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის კოორდინატორი ბრძანდებით თქვენს მშობლიურ ქალაქში და მთელ ძალასა და ენერგიას ქართული მწერლობისა და ხელოვნების უანგარო პროპაგანდას ახმართ.

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი.**

**ნოდარ ადეიშვილი**

### ილიას სურათთან

ზოგჯერ ვიტყვი:
დავწვავ ამ ხატს,
დავწვავ, თორემ გული გახმა,
ვერ გავუძელ ამ ნაღვლიან,
ამ სევდიან თვალთა ლახვარს...
....................
ჩავდივარ და
საფლავს ჩამაქვს
ჯავრი
დამწუხდარ სიმებისა.

შენ რომ
ერმა ტყვია დაგკრა,
ვაი,
ბრალი
იმ ერისა.

თუ რამეს ვმღერი,
შენს გამო ვმღერი,
თუ რამეს ვტირი,
შენს გამო ვტირი.

### მგზავრები

ყველამ თავისი დროშა გაშალა,
ყველამ თქვა ქება თავის მთა-ბარის...
მეც გამოვაღე ჩემი ფანჯარა,
მეც გადმოვფინე ჩემი ზღაპარი...
და მოვყევური
ჩემს სვეტიცხოველს;
როგორ წმინდაა,
როგორ მტკიცეა,
და გული მტკივა,
რომ არ მიცნობენ,
და როგორ მიყვარს,
რომ არ იციან.

### ცისკრის ხმაზე

უცქირე ჩიტებს, როგორ
ლაღობენ,
უცქირე დაფნას, უცქირე ნარგიზს,
არ შეიძლება, შენს
სიახლოვეს, —
იყო და სხვისთვის
ტუდებოდეს ჩანგი...

სხვისთვის ღუოდეს
ეს ცისკრის ფერი,
სხვისთვის იკვროდეს
ეს ფიჭვის ტივი...

### ამოიხედე, მზეო

ნუ მკითხავ, რას გულვნაკლულობ,
რას ვევედრები ამ ცას,
უმზეოდ,
უსიყვარულოდ,
როგორ ვიცხოვრო კაცმა...
.................
ამოიხედე, მამულო,
ამოიხედე, მზეო,
როგორც სიზმრებში გნახულობ,
ისე ტურფა და მმლეო.

### ძველი სამრეკლო

დამცდება ზოგჯერ: არ მადარდებს,
მაგრამ გულს მაინც ვერ ვუურჩები...
და ისევ მე ვარ კუბოს კარამდე
და ისევ შენ ხარ ცის სილურჯემდი.
......................
და ისევ რეკავს ძველი სამრეკლო
და ღმერთმა ნუ ქნას,
მხარი გვეცვალოს,

ან ვის რას უშლის შენი სამეფო
ამ აივნიდან, ჩემო მერცხალო?

### მამულს

შენ დამრჩი საფერებელი,
სხვა ყველაფერი მოთავდა.

აწი ვერ დაგდებ სასწორზე
გასამეტ-გასაყოფადა...

არ მინდა კოშკი ბროლისა,
ხის ქვეშ ვიქნები, შენს ახლოს.

შეგხედავ,
გამიხარდება,
ჩემო ცაო და
ვენახო.

## ◉ რუსული პრესიდან



**„პეტრე დიდთან დაკითხვაზეა სკულპტორი ზურაბ წერეთელი":**

**— ზომა ძალიან დიდია,**
**შენს სახელს ცაში აიტანს!..**
**მაგრამ ერთი რამ მაეჭვებს, —**
**ფულები, ზურაბ, საიდან?**

მხატვარი ანდრეი ბუდაევი.
*(მოსკოვში ახალ მანეჟში გამართულ მხატვარ ანდრეი ბუდაევის გამოფენიდან).*

◎ ბედი და ადამიანები

*იური ანდროპოვის პირად ფონდში, რომელიც ათწლეულების მანძილზე იყო დაცული გრიფით „სრულიად საიდუმლო“, მისი დაშიფრული ბიოგრაფიის წასაკითხი კოდი მოიძებნა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის ცხოვრების ოფიციალური აღწერილობა ლეგენდა ყოფილა და სხვა არაფერი.*

*საბჭოთა კავშირში გაგებით ეკიდებოდნენ იმ ამბავს, რომ ბელადებს გვარების ნაცვლად ფსევდონიმები ჰქონდათ, — რევოლუცია ხომ კონსპირაციული რამაა. მაგრამ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის, ტიპიური ნომენკლატურული მუშაკის, შემთხვევა ამ ფონზე მართლაც რომ უნიკალურია. მისი ოფიციალური ბიოგრაფია პროფესიონალი მზვერავის ლეგენდაა. „იტოგის“ მიმომხილველს, მეორეს მიხეილ გორბაჩოვის შემდეგ (არსებობს ჩანაწერი, რომ 80-იანი წლების დამლევს ანდროპოვის საქმე „პერესტროიკის“ ავტორზე გაიცა), საშუალება მიეცა გასცნობოდა კრემლის არქივის ახლახან გახსნილ საიდუმლო დოკუმენტებს. გენერალური მდივნის პირად ფონდში, რომელიც ათწლეულების მანძილზე იყო დაცული გრიფით „სრულიად საიდუმლო“, უამრავ ქაღალდს შორის მისი დაშიფრული ბიოგრაფიის წასაკითხი კოდი მოიძებნა. როგორც გამოირკვა, „კგბ“-ს, მერე კი პარტიისა და ქვეყნის მეთაურმა, ყველაფერი იღონა მასთან და მის ახლობლებთან დაკავშირებული ცნობების რეტუშირებისთვის.*

*— ანდროპოვის, ისევე როგორც პარტაპარატში მომუშავე მისი ათობით კოლეგის, გაგება ძნელი არ არის: იმ დროში „არასწორი“ სოციალური წარმომავლობის გამო „ექსპლუატატორთა კლასების გადმონაშთის“ იარლიყი, ყველა აქედან გამომდინარე შედეგითურთ, გარანტირებული იყო. ეტყობა, სწორედ ამიტომ იქმნებოდა ლეგენდა, რომლის თანახმადაც ჩვენს გმირს ახალი დაბადების ადგილი და „სწორი“ სოციალური წარმომავლობა და, როგორც ჩანს, გვარი, სახელი და მამის სახელი გაუჩნდა. საბოლოო ჯამში მოსკოვური ბურჟუაზიული ოჯახის სვეკეთილი შვილი ოსეთში დაბადებულ ჩამომავლობით პროლეტარად იქცა.*

# ლეგენდარული კარიერა

## წყეული ბიოგრაფია

**მომავალი გენმდივნის ბიოგრაფია ადვილად სულაც არ იწერებოდა. 18 წლის მოზდოკელი კინომექანიკოსის თანაშემწის იური ანდროპოვის იმ განცხადების თანახმად, რომელიც მას 1932 წლის 22 მარტს დაუწერია რიბინსკის სამდინარო ტექნიკუმში მიღების თხოვნით, მამა ორი წლისას, ანუ 1916 წელს გარდაცვლია.**

1937 წლის აგვისტოში დაწერილ ავტობიოგრაფიაში 23 წლის ანდროპოვი უკვე იუწყება, რომ მამამისი 1919 წელს მოკვდა. კითხვათსხვაობაა დედის საანკეტო მონაცემების შედარებისასაც. 1939 წელს ანდროპოვი მიუთითებს: „დედა 1931 წელს მოკვდა“. ამაზე ორიოდე წლით ადრე კი თარიღად 1930 წელი ფიგურირებს. კიდევ ერთ დოკუმენტში იური ვლადიმერის ძე აფიქსირებს: „დედა 1929 წელს მომიკვდა“. 1937 წლის ბიოგრაფიაში ჩნდება ინფორმაცია მისი სოციალური ფესვების შესახებ: „დედა წარმოშობით მოსკოვიდანაა (ხელოსნის ოჯახი)“. ორ წელზე ნაკლე-



ვდა. მისი ცოლი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, პენსიონერია“. მრისხანე 1937 წელს, როდესაც ალკკ იაროსლავის საოლქო კომიტეტის მდივნის პარტიაში მიღებისას ანდროპოვის წარმომავლობის სა-



12 წლის იური ანდროპოვი.



დედა ევგენია ფლეკენშტეინი.

ბი ხნის შემდეგ დაწერილ მორიგ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „დედა მრეცხავის (ან მოახლის) ოჯახში დაიბადა... იგი ფლეკენშტეინის ოჯახმა აიყვანა გასაზრდელად. თვითონ ფლეკენშტეინი მესაათე იყო. საბუთების მიხედვით ვაჭრად ირიცხება. ის 1915 წელს მოკ-

კითხი დაისვა, ფხიზელმა პარტიელებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს ინფორმაციისადმი „ვაჭრის“ შესახებ. ამასთან იმავე წელს ადგილობრივ პარტუჯრედში ხმა გავრცელდა, იურის მამაც კლასობრივი მტერი — მეფის არმიის ოფიცერიაო. ისეთი პირი უჩანდა, რომ ანდროპოვს პარტიაში შესასვლელი გზა მოეჭრა. მაგრამ მან რკინის სიმტკიცე გამოიჩინა და კოლეგებს მაკომპრომეტირებელი მასალების გამაბათილებელი საბუთები წარუდგინა. ამას მოჰყვა მისი პირადი შეხვედრა ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორ კაპუსტინასთან, რომელიც პარტიული გამომძიებლის როლს ასრულებდა. საუბრისას ანდროპოვმა ასეთი რამ უამბო კაპუსტინას: „მამა რკინიგზის მოსამსახურეა. დედა (არცერთ ავტობიოგრაფიასა და ანკეტაში მას არასდროს დაუსახელებია დედის სახელი, მამის სახელი და გვარი — „იტოგი“) რიაზანის გუბერნიის მეშჩანების ოჯახიდანაა. პატარა რომ იყო, ის მოსკოვში მცხოვრებ ფინეთის მოქალაქეს, მესაათე ფლეკენშტეინს მიუგდეს ოჯახში და აქვე გაიზარდა. 17 წლის ასაკიდან ის მასწავლებლად მუშაობდა“. ანდროპოვმა ცკ-ს ინსტრუქტორს ისიც აცნობა, რომ „ამჟამად მის კმაყოფაზეა დეიდა, მკვიდრი ბებიის (დედის მხრიდან) და“. მოწმე დეიდა მოცემულ შემთხვევაში უბრალოდ აუცილებელია: ის რიაზანელი გლეხია და, მაშასადამე, ანდროპოვის დედა სწორი „სოციალური ორიენტაციისაა“.

ანდროპოვის ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან იხსენებს, როგორ გადაუშალა მამამ გული 70-იანი წლების შუა ხანებში: „39-დან 45 წლამდე, როდესაც კარელიაში ვიყავი, 10-12 ისეთ ბიჭს მაინც ვიცნობდი, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ ჩემი გზა გაევლოთ. ის, რომ ზევით მაინცდამაინც მე აღმოვჩნდი, დროისა და შემთხვევის წყალობაა“. საარქივო მასალების თანახმად, შემთხვევას აქ განმსაზღვრელი როლი არ უთამაშია. ისევე, როგორც ზოგმა თანაპარტიელმა, ანდროპოვმა ანკეტის მონაცემების მიმდინარე პოლიტიკურ მომენტთან ადაპტირებითა და ამ ლეგენდაში შემმოწმებელთა დარწმუნებით შეძლო გზის ზევითკენ გაკვალვა.

ასე იყო თუ ისე, ამხანაგი კაპუსტინა დაინტერესდა და გადაწყვიტა მესამედ გადაემოწმებინა კანდიდატი. ამ მიზნით ცკ-ს ინსტრუქტორმა ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი პულიაევი მოსკოვში მიავლინა. ამ უკანასკნელმა კი ზედმეტი ფიქრის გარეშე გადაწყვიტა ვაჭარ ფლეკენშტეინის ცოლი — ევდოკია მიხეილის ასული ფლეკენშტეინი გამოეკითხა, რომელიც, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, დაინტერესებული იყო ჭეშმარიტების დამალვაში. მან დაადასტურა, რომ კომკავშირული თავკაცის დედა, ჩვილი რომ ყოფილა, მე-2 გილდიის ყოფილი ვაჭრისთვის მიუგდიათ. და რომ თვითონ თავისი შრომით ცხოვრობს. ამას კი მოულოდნელად მოსდევს: „ანდროპოვის არამკვიდრი ბებიის ფლეკენშტეინის თქმით, ანდროპოვთან მისი დეიდა კი არა, მისი ძიძა ანასტასია ჟურჟალინა — „იტოგი“) ცხოვრობს. კაპუსტინას დასკვნა სანუგეშო ვერ არის: „ამხ. ანდროპოვმა თავისი დედის წარმომავლობის შესახებ არასწორი ცნობები მოგვაწოდა“. ვითომ ეს კარიერის დასასრულია? არა: უბრალოდ, იური ვლადიმერის ძეს მეოთხედ მოსთხოვეს ახსნა-განმარტება.

1939 წლის 10 იანვარს მან გაზეპირებული ლეგენდა გაიმეორა: „დედაჩემი ჩვილი იყო, როდესაც ფლეკენშტეინის ოჯახმა აიყვანა თვითონ ფლეკენშტეინი მესაათე იყო. საათების სახელოსნო ჰქონდა. 1915 წელს ებრაელთა რბევისას მისი სახელოსნო დაარბიეს, თვითონ კი 1915 წელს მოკვდა. ფლეკენშტეინის ცოლი მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა. წარმოშობით რიაზანიდან იყო“. დეიდა-ძიძასთან დაკავშირებული გაუგებრობა როგორღა აიხსნება? ძალიანაც მარტივად: „ანკეტაში ჟურჟალინა ჩემ მიერ იმიტომ არის წარმოდგენილი როგორც დეიდა, რომ მისი ნათესაობის ხარისხის განსაზღვრა მიჭირს (ისევე, როგორც თავად მას)“.

ჟურჟალინამდე მაკონტროლებლებმა ვერ მიაღწიეს, თუმცა მას შეეძლო მოეთხრო მათთვის, რომ ფლეკენშტეინების ოჯახში ჯერ გუვერნანტის, მერე კი იურის ძიძის მოვალეობებს ასრულებდა. პაპის სოციალურ მდგომარეობას როგორღა მოევლო? პასუხი: „მე ახლაც კი არ ვიცი ეს, თუმცა კი ვცადე, რომ გამეგო. პაპაჩემი (ყურადღება მიაქციეთ, არა პაპის მაგიერი, არამედ „პაპაჩემი“. — „იტოგი“) ვაჭრობდა, იმის შესახებ კი, რომ ის ვაჭარი იყო, თანაც პირველი ან მეორე გილდიის, ჩემთვის არ უთქვამთ“. და ბოლოს იური ვლადიმერის ძე თხოულობს: „რაც შეიძლება მალე გადაწყვიტეთ ჩემი საკითხი, თორემ ეს წყეული ბიოგრაფია მუშაობაში ხელს მიშლის“. ამის შემდეგ ანდროპოვს სამუდამოდ შეეშვნენ. რატომ?

**დენის ბაბიჩენკო,**
**ჟურნალი „იტოგი“**
**№ 40, 2005 წ. ოქტომბერი**
**(დასასრული იქნება)**



# სისხლისღვრა ნალჩიკში

**წინასწარი მონაცემებით, ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში მომხდარი შეტაკებებისა და სროლის შედეგად დაღუპულია ოცამდე ადამიანი და 40-ზე მეტი — დაჭრილია.**

მაგრამ ნალჩიკიდან ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტმა თქვა, ნალჩიკში დაიღუპა 12 მშვიდობიანი მცხოვრები, დაახლოებით 50 კაცი კი საავადმყოფოებში მოათავსეს.

უშიშროების ფედერალური სამსახურის ადგილობრივი სამმართველოს მორიგესგან მიღებული ინფორმაციით, „რია „ნოვოსტის“ საგენტო იტყობინებოდა, რომ ქალაქში შეიჭრა სამასამდე მოთარეშე. თუმცა, ძალოვანები მანამდე აცხადებდნენ, რომ თავდასხმაში მონაწილეობდა მოთარეშეთა ათამდე ჯგუფი და მათი საერთო რიცხვი დაახლოებით 60 კაცს შეადგენდა, რომლებმაც ერთბაშად რამდენიმე ობიექტზე მიიტანეს იერიში.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძალოვან უწყებათა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ამჟამად ვითარება თანდათანობით ნორმალური ხდება, ქალაქში ჩაცხრა ბრძოლები, მოთარეშეებმა კი გარეუბნებისკენ დაიხიეს. მაგრამ საინფორმაციო სააგენტოები კვლავ იტყობინებიან, რომ ქალაქის ცენტრში, პარლამენტისა და უშიშროების ფედერალური სამსახურის შენობებთან მიმდინარეობს სროლა.

სხვა ინფორმაციით, მოთარეშეებმა ხელთ იგდეს ნალჩიკის მილიციის რაიონული განყოფილების შენობის პირველი სართული. თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ სროლაა ქალაქის აეროპორტის მიდამოებშიც.

ქალაქს ალყა შემოარტყეს რუსეთის არმიის ფედერალურმა ნაწილებმა. ყაბარდო-ბალყარეთის ყველა საზღვარი ჩაკეტილია, ძალოვან სტრუქტურათა ყველა ობიექტს, სკოლებს, საავადმყოფოებს გაძლიერებული დაცვა დაუწესეს. ქალაქში შეიყვანეს არმიის დამატებითი ძალები.

მოსკოვის დროით, ღამის სამი საათისთვის, ატყდა სროლა ნალჩიკის მახლობლად მდებარე სოფელ ბელაია რეჩკაში. დილის 9 საათისთვის კი გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ისროდნენ ქალაქის ცენტრშიც. ამის შემდეგ პრაქტიკულად ერთდროულად განხორციელდა თავდასხმები შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის და მილიციის სკოლის შენობებზე. ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის სხვა უბნებშიც.

ნალჩიკის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრების თქმით, მოთარეშეებმა ხელთ იგდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის და მილიციის სკოლის შენობები, ააფეთქეს სავაჭრო ცენტრი. მოთარეშეებმა სცადეს ნალჩიკის აეროპორტის აღებაც.

შუადღისთვის ააფეთქეს კავშირის მობილური ოპერატორის სადგური, რის შედეგადაც, ნალჩიკში აღარ მუშაობს მობილური კავშირი.

# გაეროს წარგზავნილი უბედურების ზონაში ჩავიდა

**სამხრეთ აზიაში მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრის მიზნით საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციისთვის პასუხისმგებელი პირი, გაეროს მაღალი თანამდებობის თანამშრომელი იან ეგელანდი**



**პაკისტანში იმყოფება, რათა ადგილზე ნახოს ნგრევის მასშტაბი.**

იან ეგელანდი ჩავიდა პაკისტანის ქაშმირში მდებარე ქალაქ მუზაფარაბადში. ეს ქალაქი ძალზე დაზიანდა მიწისქვეშა ბიძგების შედეგად, იქ დაიღუპა ათასობით ადამიანი.

ეგელანდმა მოუწოდა ინდოეთს და პაკისტანს, დაივიწყონ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები და ერთობლივად ებრძოლონ მიწისძვრის შედეგებს.

ინდოელი ჯარისკაცები უკვე იმყოფებიან ქაშმირის პაკისტანურ ნაწილში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას ეხმარებიან შენობების აღდგენაში.

გაეროს შეფასებით, უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით ორი მილიონი კაცი, თანაც, მილიონამდე ადამიანს სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.

რიხტერის სკალით 7,6 ბალის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად, რომელიც გასულ შაბათს მოხდა, დაზარალდა ოთხ მილიონამდე ადამიანი. პაკისტანის ხელისუფლების განცხადებით, მიწისძვრას ემსხვერპლა ქვეყნის 23 ათასი მოქალაქე. ყველაზე მეტი დაზარალებულია ქაშმირის იმ ნაწილში, რომელიც პაკისტანის პროტექტორატში შედის. ინდოეთის ქაშმირში დაიღუპა 1300 კაცი, თუმცა, როგორც ხელისუფლება ვარაუდობს, მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

* * *

**13 ოქტომბერს, გამთენიისას მოხდა ახალი მიწისძვრა ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის მიდამოებში. მიწისქვეშა ბიძგების ძალა შეადგენდა 5,8 ბალს რიხტერის სკალით.**

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბაბიდან ჩრდილოეთით, 125 კილომეტრზე. ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ, ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან.

# რაისს სთხოვენ, ნაზარბაევს ადამიანის უფლებებზე ესაუბროს

**სამართალდამცველთა ორგანიზაციამ „ჰიუმან რაიტს უოტჩმა“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს მოუწოდა, რომ წამოჭრას ყაზახეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.**

რაისი ასტანაში შეხვდება ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ყაზახეთში ჩავიდა ყირგიზეთიდან.

სამართალდამცველთა მტკიცებით, ყაზახეთის ხელისუფლება ზღუდავს შეკრებების თავისუფლებას, ემუქრება ოპოზიციასა და დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რაც ამცირებს იმის შანსს, რომ დეკემბრისთვის დანიშნული პრეზიდენტის არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს.

შესაძლოა, რომ კონდოლიზა რაისი შეხვდეს ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ეწვევა ასტანის ლევ გუმილიოვის სახელობის ევრაზიის უნივერსიტეტს, მიიღებს მონაწილეობას „მრგვალი მაგიდის სხდომაში“, რომელსაც მეწარმეებიც დაესწრებიან.

ასტანა ვაშინგტონის ერთ-ერთი მოკავშირეა ცენტრალური აზიის რეგიონში. ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობის დროს, ყაზახეთმა საჰაერო სივრცე დაუთმო შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი კოალიციის თვითმფრინავებს. გარდა ამისა, ყაზახეთმა ერაყში გაგზავნა 40 სამხედრო მოსამსახურისგან შემდგარი მცირე კონტინგენტიც.

კონდოლიზა რაისის ტურნეს მორიგი პუნქტი ტაჯიკეთი იქნება.



# მოკლედ

**სუმის ოლქის ყოფილი მეთაური ვლადიმერ შჩერბანია დააპატიმრეს შეერთებულ შტატებში. უკრაინის პროკურატურამ დაიწყო მოლაპარაკება მისი დეპორტაციის შესახებ. შჩერბანიას ბრალად ედება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, უფლებამოსილებათა გადამეტება, გამომძალველობა, ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული თაღლითობა და სხვა.**

* * *

**„ვაღიარებ, რომ რუსული დემოკრატია განსხვავებული იქნება ამერიკულისგან, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. — მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ხალხები გაიზიარებენ ზოგიერთ უნივერსალურ ჭეშმარიტებას“. რუსეთთან დაკავშირებით, ეს არის კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების პატივისცემა, დარწმუნებულია ბუში.**



* * *

**ღაზი ქანაანის თვითმკვლელობა კიდევ უფრო ამწვავებს სირიაში მიმდინარე კულისებსმიღმა ბრძოლას. „პირველი ვერსიის თანახმად, ქანაანის დაღუპვა უკავშირდება ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის შესახებ გაეროს მიერ მომზადებული მოხსენების მომავალ პუბლიკაციას. არც ის არის გამორიცხული, რომ მინისტრის სიკვდილის მიზეზები შეიძლება ვეძებოთ სირიის მიერ ლიბანში**



**შექმნილ იმ რთულ კორუფციულ სისტემაში, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ქანაანი“, — წერს ფრანგული „ფიგარო“.**

* * *

**„კორიერე დელა სერა“: დემოკრატიისთვის მებრძოლი ბუში ცდილობს დიქტატორების მომადლიერებას. ევროკავშირმა შემოიღო სანქციები უზბეკეთის მიმართ ანდიჟანში დატრიალებული ტრაგედიის გამო. მაგრამ შეერთებულ შტატებს არანაირი ინიციატივა არ გამოუჩენია. უფრო მეტიც, ამერიკელი სახელმწიფო მოხელეები ცდილობენ, შეინარჩუნონ კარგი ურთიერთობა ტაშკენტის მთავრობასთან. საქმე ის არის, რომ მიმდინარე წლის ივლისში უზბეკეთის პრეზიდენტმა ქარიმოვმა ვაშინგტონს მოსთხოვა ამ ქვეყნის ტერიტორიიდან სამხედრო ბაზის გატანა.**

* * *



**ახალმა წამლებმა, ისეთებმა, როგორიც არის ვიაგრა და ციალისი, შეიძლება შეუწყონ ხელი ცხოველების დაცვას, ამტკიცებენ მეცნიერები, რომლებმაც გამოკვლევა განახორციელეს ვიაგრის მწარმოებელი კომპანიის „პფაიზერის“ მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ წამლების წყალობით, პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად მოთხოვნა ეგზოტიკურ ცხოველებზე თანდათანობით შემცირდება, მიაჩნიათ მკვლევარებს.**

◎ ოჯახი

# გალში შეხვედრამდე, ბატონო კონდრატე!

[illegible]

**(მესამე გვერდიდან)**

— დედაჩემის და მამაჩემის სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო, — მეუბნება მერაბი და სინანულით იგონებს გალში გატარებულ წლებს.

— ხომ გახსოვთ, ერთი ხანობა. ძალიან ინტენსიურად დაიწყეს გალში დაბრუნებაზე საუბარი, მე მამის შემზადება გადავწყვიტე, მართლა რომ მოგვიწიოს ჩასვლა, გული არ გაუსკდეს-მეთქი. მან არ იცოდა, რომ ჩვენი ულამაზესი სახლი აფხაზებმა გადაბუგეს, მარტო წიგნები იწვოდა თურმე ერთი კვირა. როდესაც ვუთხარი და სურათიც ვაჩვენე, ისტერიული ტირილი აუტყდა, საკუთარი ხელით აშენებული, ნალოლიავები სახლი რომ გადაბუგული ნახა. დიდხანს ვერ მოეგო გონს: იქ ერთი ბლოკიც არ არის, ჩემი ცრემლითა და ოფლით რომ არ იყოსო დასველებული. რაღა დაგიტოვეთ, შვილებო, სახლიც თუ აღარა გვაქვსო, დღემდე ამას წუხს მამაჩემი.

თუმცა რაზეა საუბარი: ხალხი რომ გვხვდება, გვეუბნება, იმ პატიოსანი კონდრას შვილები ხართო? — ამაზე მეტი რა უნდა დაგეტოვებინა მამაჩემო, ამაზე მეტი სიმდიდრე არ გვინდა, — კიდევ ერთხელ გაუმეორეს ზურაბმა და მერაბმა მამას და მოეფერნენ.

მალე მწვადიც აშიშხინდა.

ამას წინათ დიმიტრიმ ძალიან გვანერვიულა, — მითხრა მერაბმა — თვითონ თქვი, ბიჭო, რა ჩაიდინე, — მიუბრუნდა დიმას, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, თავად განაგრძო: — ჩვენ გვითხრა, ორი დღით წყნეთში მეგობართან მივდივარო და, სინამდვილეში აფხაზეთში შესულა!

— ასეთი რა ვქენი, 13 წლის ოცნება ავისრულე, — მითხრა დიმიტრიმ, რომელიც მზეჭაბუკსა ჰგავს გარეგნობით. ზრდილობისა და განათლების განსახიერებად წარმოდგა ჩემს წინ. — ერთმა ჩემმა ოჩამჩირელმა ამხანაგმა, ერთმაც თბილისელმა და მე, აფხაზეთი მოვინახულეთ. შინაგანად დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი მოხდებოდა. მართლაც, გაგვიმართლა და მშვიდობით გამოვედით იქედან. იქაურობისთვის სავსებით უცნობი გარემო დამხვდა. უცხო ხალხი, ნაცრისფერი ფერები — იმედები ჩამესახა, დიდხანს არ გაგრძელდება ასე, იქაურობა ვერ იგუებს უცხოურს და თავისთავად გამოაგდებს, რაც იქაური არ არის. მალე დავბრუნდებით ჩვენ სახლში, სხვანაირად არც იქნება, ჩვენები ჯაჭვებითა და თოკებით არიან დასაფლავებული, იმის იმედით, რომ სათანადოდ დავასაფლავებთ დაბრუნებისთანავე, — რაღაც სიმტკიცე შეეპარა ხმაში ჭაბუკს და გავიფიქრე, ყველა რომ ასე ფიქრობდეს, რაღა უნდა მეტი ჩემს ქვეყანას.

— ღმერთს ვთხოვე, მამაჩემი თბილისში არ დამასაფლავებინოს, — ჩაილაპარაკა ზურაბმა. ფეხით ჩავალ გალში და ორივე ძმა გადამწვარზე უკეთეს სახლს ავაშენებთ.

კიდევ უფრო საინტერესო გახადა საბულუებთან ჩვენი სტუმრობა გალიდან ჩამოსულმა ზურაბ ჯგერენაიამ, ბატონი ზურაბი გაეროს თანამშრომელია და კონდრატეს შთამომავლებს გალური ხარის თვალას ღვინო ჩამოუტანა — ჟენევის იმუნიტეტი მიცავს, მისი ნომენკლატურა ვარ, გალში ხშირად ვიმყოფები და როგორც კი თბილის-



ყურადღებით უსმენენ გალიდან ჩამოსულ ზურაბ ჯგერენაიას (მარცხნიდან პირველი).

ში მოვხვდები, ამ ოჯახს არ ვესტუმრო არ იქნება, — ბრძანა ბატონმა ზურაბმა, — მე ბატონი კონდრატეს მესამე შვილად ვთვლი თავს და ბედნიერი ვარ, ამ ოჯახს ასე წელგამართულს რომ ვხედავ.

სუფრასთან მიგვიპატიჟეს. თამადად ბაბუამ დიმიტრი ისურვა.

დიმიტრი საბულუების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა, მოგვხიბლა მისმა თავდაჭერილობამ, განსწავლულობამ და მჭერმეტყველებამ, გოგონებიც სოფო, ლუსია და სალომე თავს დაგვტრიალებდნენ, ცდილობდნენ, რითაც შეეძლოთ, ესიამოვნებინათ ჩვენთვის.

ჩემი დღეგრძელობის დროც მოვიდა. დიმიტრიმ, როგორც ნამდვილ კოლხ ვაჟკაცს შეჰფერის, ფეხზე წამოდგომით და ხატოვნად დალია ჩემი სადღეგრძელო.

ბატონმა კონდრატემაც წამოიწია, ადგომა სცადა, ერთხანს გაუჭირდა. მერაბმა ხელის შეშველება სცადა — არაო, იუარა, მცხოვანმა ვაჟკაცმა, სტუმარს თავად უნდა წამოვუდგეო ფეხზეო, და წელში გაიმართა.

— მოუშლელი იყოს ჩვენს ოჯახში ასეთი სტუმრობა — შემდგომშიც გვეწვიეთ. გაგვიხარდება, მე დღეებს ვითვლი და შეიძლება უკანასკნელიც იყოს ჩვენი შეხვედრა. ღმერთსა ვთხოვ საქართველოს გაბრწყინებას...

დავემშვიდობეთ ამ შესანიშნავ ოჯახს და ვისურვე კონდრატე საბულუას 90 წლის იუბილეს გალში აღნიშვნა.

**მარადი ანასაშვილი.**

◎ კონფლიქტის ზონა

# „ისე ნუ მომკლას ღმერთმა, ჩემი ბიჭი ფეხზე გამართულად გავლილი ვერ დავინახო“...

**ყოველ საღამოს საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემული ცნობები ცხინვალის რეგიონის შესახებ დიდიან-პატარიანად ყველას აღელვებს. არავის არ სურს ქვეყანაში კონფლიქტური რეგიონის არსებობა, რადგან ცხოვრება ისედაც ჭირს. არავის უნდა იარაღის ჟღარუნით მოგვარდეს პრობლემა, რადგან ოსმა და ქართველმა ამ კუთხეში მომავალშიც ისევ ერთად უნდა იცხოვროს...**

განსაკუთრებით მძიმეა შექმნილი მდგომარეობა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც რაიმე აკავშირებს ამ კუთხესთან, დიდი ლიახვის ხეობის სოფლებთან, ვისი მეგობრებიც, ნათესავები ან სულაც ოჯახის წევრები ცხოვრობენ იქ, ასევე მძიმედ განიცდიან გაჭიანურებულ, დღემდე მოუგვარებელ კონფლიქტს ქალაქ ცხინვალიდან დევნილები, რომლებიც თხუთმეტი წელიწადია, კვლავ სასტუმროებსა და მოუწყობელ თავშესაფარში მძიმე ყოფით პირობებში ცხოვრობენ...

19 სექტემბერია, შემოდგომის მზიანი დღე. ჩემი ოჯახის წევრებისა და ახლობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისი-კეხვის ავტობუსის ბილეთს ვიღებ და დიდუბის სადგურთან დიდი ლიახვის ხეობისაკენ მივემგზავრები. 21 სექტემბერს ხეობაში ღვთისმშობლობას აღნიშნავენ. მაგრამ ოცში, ცხინვალელ ოსებს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის დღის ზეიმი აქვთ... საქართველოს ხელისუფლება ამაზე მწვავედ რეაგირებს, თითოეული ქართველი ამ დღეს დაძაბულია. არავინ იცის, რა მოხდება. მაგრამ მე მაინც მივდივარ. ავტობუსში ქართველები სხედან. აჩაბეთელებს და ქურთელებს სასკოლოდ უვაჭრიათ დედაქალაქში. ავტობუსი მგზავრებით გადატვირთულია. სხვათა შორის, აქ ოსებიც სხედან, რომლებიც ჯერ ქართულად ან რუსულად საუბრობენ, მერე, როგორც კი ცხინვალს მივუახლოვდით, ხმამაღლა იწყებენ ოსურად ლაპარაკს და გადაძახილ-გადმოძახილს.

დაუბრკოლებლად შევედით ქალაქში. არავინ ამოსულა ავტობუსში მგზავრების შესამოწმებლად. ოღონდ, როცა თამარაშენს მივუახლოვდით, იქ მანქანების კოლონა იდგა, ვლადიკავკაზისკენ მიმავალი და იქიდან მომავალნი. კარგა ხანს შევყოვნდით. შემდეგ მძღოლმა ავტობუსი ისევ ქალაქისკენ შემოაბრუნა და ფაბრიკებისკენ (ასე ეძახიან ამ ადგილს) დაეშვა, ალბათ, შემოვლითი გზით ავა ხეობაში! ამასობაში მგზავრები შეშფოთდნენ. ჩემს უკან სკამზე ორი ქალბატონი ზის... დაძაბულნი იყურებიან წინისკენ. — ეს ჩემი რძალია. კახეთიდან მოვდივართ. ქურთა ჩემი სამშობლოა. მშობლები და და-ძმანი მყავანან. დღეობაში წამოვიყვანე მაზლისცოლი. და ღმერთო, მშვიდად მიგვიყვანე სახლამდე, — ამბობს ქერათმიანი.

— როგორ გამაბრიყვე, აქ რომ ახლა რამე მოხდეს, რა უნდა ვქნათ? — შიშობს მეორე.

მოკლედ, რამდენჯერმე დაურეკეს მობილურზე მძღოლს და მანაც რამდენჯერმე მიაბრუნმოაბრუნა მგზავრებით სავსე ავტობუსი თამარაშენის შესასვლელამდე და უკან — ისევ ცხინვალში.

მიუხედავად იმისა, რომ არავის შევუწუხებივართ, ვერ ვიტყვი, შიში არ განვიცადე-მეთქი.

ბოლოს, როგორც იქნა, გავედით თამარაშენში. გზადაგზა მგზავრებისგან თანდათან იცლება ავტობუსი. აჩაბეთსა და ქურთაში ხალხი არ ჩანს „ბირჟაზე“ — ყველა შინ არის და ყოვლადწმიდა ქალწულის დაბადების დღისთვის სამზადისშია — რა იცი, ვინ შემოგიღებს ამ დროს კარს, ახლა ძველებური სტუმართმრავლობა არ იქნება, მაგრამ ვინმე მაინც აუცილებლად მოვა.

ადრე ქართულ სოფლებზე გამავალ ტრასაზე ტრანსპორტის ხშირი მიმოსვლა იყო. ახლა ვლადიკავკაზისკენ კანტიკუნტად მიმავალ მანქანებს თუ მოჰკრავთ თვალს, სადაც მგზავრებს შეშინებული სახეები აქვთ. სამწუხაროა, აქ არავინ, არც ერთი მხარის უდანაშაულო, პატიოსანი ადამიანი არ არის დაზღვეული რაიმე მოულოდნელი უსიამოვნებისაგან.



ოცში დაძაბული დღე იყო. ხეობის სოფლებს აფეთქებების ხმა არყევდა. არავინ იცის, ზუსტად რა ხდებოდა. თანაც, ამ ხმებს მიჩვეულნი ვართო, ამბობენ მეზობლები. მთელი დღე ტელევიზორს უყურებდნენ და უფრო იქიდან იგებდნენ, თუ რა ხდებოდა მათ მხარეში.

— დავიღალეთ, მშვიდი ცხოვრება როდისღა გვეღირსება? ყველაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს, — მეუბნება მარინე, სამი შვილის დედა.

ხეობის სოფლებში ერთმანეთზე ქორწინდებიან ახალგაზრდები. ეს ახლა უფრო შესამჩნევია, რადგან საქართველოს სხვა კუთხეებიდან ამ არეულ მხარეში დამკვიდრებას ყველა ერიდება. ლელა კეხვში გათხოვდა. ახლა უკვე ტყუპი ბიჭები ჰყავს. მათ ოჯახსაც ეკონომიურად უჭირს, ქმარი უმუშევარია. მხოლოდ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთს უვლიან. ახლაც ხილი ვერსად გაიტანეს გასაყიდად, რადგან გზები ხან იხსნება, ხანაც მოულოდნელად იკეტება. ტონობით ხილი, საზაფხულო ვაშლი და მსხალი დალპა ხეობაში. მოსახლეობა ხელცარიელი დარჩა. ითხოვენ, რომ ან დამამზადებელი პუნქტები გაიხსნას ადგილზე, ან ხილის გადამმუშავებელი ქარხანა მაინც ამოქმედდეს, თორემ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება...

იმ დღეს აჩაბეთში ჩამოცვივდა და სკოლის ეზოში აფეთქდა ჭურვები. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ხალხი შეშფოთებული იყო.

## მაგალი

**მშრომელი ქალია, ოთხი შვილის დედა. ქმარი ომის წინ დაეღუპა. უქმად ჯერ არავის უნახავს. მისი მოვლილი ხილ-ბოსტანი სანიმუშოა. ეზო-კარს აწკრიალებს და შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნვით არ იღლება.**

დათო მისი საყვარელი შვილიშვილია, შუათანა ბიჭისგან. დათო ახლა 21 წლისაა. შარშან, გვიან შემოდგომით, ქურთის განაპირას, მოჭრილი სიმინდის ყანაში ძროხა გააგდო საბალახოდ. თვითონაც იქვე მიდი-მოდიოდა, ჩალას აგროვებდა. უეცრად თვალთ დაუბნელდა... გამაყრუებელი აფეთქების ხმაზე მინდვრისკენ გაიქცა უბანი. ნაღმზე აფეთქებული ბიჭი პირქვე ეგდო გასისხლიანებული. ხელ-ფეხი გაგლეჯოდა, სახე აღარ ეტყობოდა... საბედნიეროდ, ცოცხალი იყო. რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, გადარჩა. — რომ ზის, ანგელოზივითაა, ვითომ არაფერი, — მეუბნება თვალცრემლიანი მაგალი, — მაგრამ რომ ადგება, ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებს. ექიმები გვარწმუნებენ, კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდებაო. რა ვიცი, ნეტავ ეშველოს. ბაბო მოუკვდეს მაგას, ისე არ მომკლას ღმერთმა, ჩემი ლამაზი ბიჭი ფეხზე გამართულად გავლილი რომ ვერ დავინახო...

ქართული სოფლების განაპირას დანაღმული მინდვრები დიდ საფიქრალს უჩენს ადგილობრივ მოსახლეობას.

## გალა

**ხეობის ბიჭები ფხიზლად არიან. ომსა და უბედურებაში სიმწრით გამოზრდილები ყმაწვილობაში დინჯდებიან. ამათ ყველაზე კარგად იციან მშვიდობის ფასი. სამშობლო მათთვის მარტო წიგნებიდან დანახული სამყარო როდია. სამშობლო მათთვის უკვე დედების ცრემლი, თანატოლების სიცოცხლის ფასი და მოუშუშებელი ტკივილია. ეს ხეობა მათთვის სიფხიზლეა და ბავშვობის აკვანი, მათი წინაპრების სამკვიდრო და ძვალშესალაგია.**

ისინი მუდმივად მზად არიან, რომ ფეხზე დადგნენ მამულის დაძახილზე, არაფერზე არ იხევენ უკან უკეთესი მომავლისათვის, დაწყნარებისა და საბოლოო მშვიდობისათვის. თავაწეულნი, უყოყმანოდ მიდიან ჯარისკაცებად, ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ როგორ გამოადგნენ ქვეყანას.

გოგიტა, გია და ზაზა, 20 წლის ბიჭები ახლა ერაყში, სამშვიდობო ბატალიონში მსახურობენ. სამწუხაროდ, მათ რიგებში უნდა ყოფილიყო გალა ( გალაქტიონი) ხაჭაპურიძეც, მაგრამ ცნობილი გატაცების გამო (ის ხომ თავის ბიძაშვილებთან, ჰამლეტთან და მამუკასთან ერთად დღემდე უგზო-უკვლოდ არის დაკარგული) მეგობრებს ჩამორჩა. ნეტავ ცოცხლები იყვნენო, — ნატრობენ ქართველები და მათზე ლოცულობენ.

მამუკა ობოლი იყო. ჰამლეტისა და გალას მშობლებს კი ზედ აღარ შეეხედებათ, გაურკვევლობამ მათ ისეთი დაღი დაასვა. ამ პატიოსან ადამიანებს მარტო ღმერთის იმედიღა შემორჩათ. გალას მამა, ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი, ნაადრევად მოტყდა. დედა მუდმივად ავადმყოფობს. ძმები კი გამშრალნი არიან...

ვერავინ გეტყვით, რა ჰქვია ასეთ ყოფას. ან კი როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს აუტანელი სინამდვილე.

ხეობაში მცხოვრები ხანდაზმულები წუხან, რომ ასეთ მძიმე დროში მოუწიათ ცხოვრება. რა არ გამოგვივლია, მაგრამ ასე გაუთავებელი არაფერი გვინახავსო, ამბობენ. მომავალი თაობების ბედზე ფიქრი მათ მოსვენებას არ აძლევთ. წუხან იმ ახალგაზრდებზე, ორივე როგორც ქართული, ასევე ოსური მხრიდან, ამ უაზრობას რომ ეწირებიან. — იმის მაგიერ, ჩვენი ახალგაზრდები ამ კუთხის, თავიანთი ოჯახების აშენება-დამშვენებით იყვნენ დაკავებულნი, ერთმანეთს სამტროდ წაჰკიდებიანო, — ჩივიან.

მარტო ამ ომში განწირული ახალგაზრდებისა და მათი გამწარებული ქართველი და ოსი დედების ცრემლების გამო ღირს დაპირისპირებული მხარეების უყოყმანოდ მისვლა სამშვიდობო მოლაპარაკების მაგიდასთან — მშვიდობას ხომ ამ კუთხის მომავლისათვის მართლა არა აქვს ალტერნატივა!

**ლია ჭილლაძე,**

**თბილისი-დიდი ლიახვის ხეობა-თბილისი.**

◎ ინფორმაცია

### გურიაში სტიქიით დაზარალებულებს ეხმარებიან

**„ერთიანმა** ნაციონალურმა მოძრაობამ“ გურიაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გუშინ ჰუმანიტარული დახმარების მორიგი პარტია გააგზავნა.

13 სატვირთო ავტომანქანაში დატვირთული სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების საგნები და საწვავი რიყიდან ოზურგეთის მიმართულებით დეპუტატმა ალეკო ცინცაძემ გააცილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცინცაძემ განუცხადა, ჰუმანიტარულ დახმარებას დანიშნულების ადგილამდე პირადად ჩაიტანს. ტვირთი „ნაციონალური მოძრაობის“ კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონული ორგანიზაციების ორგანიზებით შეგროვდა. დახმარება კი კომპანია „კანარგომ“, „თელიანმა ველმა“ და „ლომისმა“ გაიღეს.



ჰუმანიტარული დახმარების პირველი პარტია “ნაციონალებმა“ სტიქიის ზონაში 8 ოქტომბერს გააგზავნეს.

### ის აფხაზებმა შეიფარეს

**გალის** რაიონის სოფელ რუხის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურის ცენტრალურ საავტომობილო ხიდთან აფხაზეთის ტერიტორიის მხრიდან თამაზ ბერულავას გადმოყვანას ელოდებიან. თამაზ ბერულავა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. ტყვეთა გაცვლის კომისიაში აცხადებდნენ, რომ მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ. ზოგიერთი მონაცემით ბერულავა დაღუპულად ითვლებოდა. თამაზ ბერულავა 12 წლის ასაკში დაიკარგა. როგორც მისმა ახლობლებმა და ნათესავებმა გაარკვიეს, აღმოჩნდა, რომ თამაზ ბერულავა ცოცხალია და იგი აფხაზების ოჯახმა შეიფარა და გაზარდა, თუმცა არ სახელდება ამ ოჯახის წევრთა ვინაობა.

თამაზ ბერულავას ძმა თბილისში დევნილთა და განსახლების სამინისტროში მუშაობს და მან საკუთარი ძალებით შეძლო დაკარგული ძმის მოძებნა.

### მდინარეში ახალგაზრდა მამაკაცი გადახტა!

**გუშინ,** მდინარე ენგურის ცენტრალური ხიდიდან თვითმკვლელობის მიზნით მდინარეში გადახტა ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით დაუდგენელია. მას ხიდის მოაჯირზე მდგარს თვალი მოკრეს ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ და გაეროს წარმომადგენლებმა, რომლებიც ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრიდან ბრუნდებოდნენ. ჯერჯერობით დაუდგენელია თვითმკვლელობის მცდელობის მოტივი. არც ის არის ცნობილი, ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა თუ არა, თუმცა ფაქტია, რომ იგი ხიდიდან მდინარე ენგურში გადახტა და ნაპირზე გამოსული არავის უნახავს. ეს ადამიანი სავარაუდოდ დევნილია, რომელიც გალის რაიონის ტერიტორიიდან გადმოდიოდა ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე.

### მათ „სუბოტექსი“ შემოჰქონდათ



**საქართველოს** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერატიულმა დეპარტამენტმა ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსის“ შემომტანი ჯგუფის წევრები დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ამოღებულია უპრეცედენტო რაოდენობის „სუბოტექსი“. სამინისტროს ინფორმაციით, სპეცოპერაცია გუშინ, გამთენიისას ჩატარდა და აღნიშნული ღონისძიებით ნარკოტიკების შემოტანაში ეჭვმიტანილი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ქსელი დაიხურა.

### დამნაშავე გაბაწრეს

**სამართალდამცველებმა** გალში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია გალის რაიონის სოფელ განახლებაში მცხოვრები 23 წლის დავით რურუა, რომლსაც ჩხრეკისას „აკმ-ის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 27 საბრძოლო ვაზნა აღმოაჩნდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას ზუგდიდის შს სამმართველო აწარმოებს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ურთიერთობა

# კეთილი საქმე არ იკარგება

**2001 წლიდან განაგრძობს მუშაობას და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი. 11 ოქტომბერს ბოლო 10 თვის მუშაობის შესაჯამებლად შეიკრიბნენ ამ ფონდის წევრები — ექრემ შახანის თავმჯდომარეობით.**

**ექრემ შახანი, საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე:** — 10 თვის განმავლობაში ჩვენი ფონდის საქმიანობა მიმართული იყო საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისკენ. ვითარდება „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში არსებული კოლეჯებისა და ლიცეუმების ფონდი. იგი სისტემატურად ეხმარება აფხაზეთიდან დევნილებს პროდუქტებით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რელიგიათა და სხვადასხვა ერებს შორის დიალოგის განვითარებას. გაიმართა კონფერენცია თემაზე „აბრეშუმის გზა“. დიდი რეზონანსი ჰქონდა უწმინდესი და უნეტარესის კათალიკოს-პატრიარქის ილია II თაოსნობით და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატრონატით თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო ფორუმს „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“. ფონდმა ამ ღონისძიების ჩატარებისას სხვა ორგანიზატორებთან ერთად ფორუმის ორგანიზატორისა და სპონსორის მოვალეობაც გასწია. ფორუმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა. ფონდი დახმარებას უწევს 400 ოჯახს. 100 ოჯახს საქართველოს საპატრიარქოს რეკომენდაციით, ხოლო 300 ოჯახი აფხაზეთიდან ლტოლვილია.



თბილისში, ბათუმში და ქუთაისში არსებულ თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებით შექმნილი სასწავლებლების სტუდენტებს 40 ლარი ეძლევათ, მოსწავლეებს — 30. ეს არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვჯერდებით. ისე, როგორც ეს თურქეთშია, სტიპენდიების გადაცემა ფონდის დახმარების სახელით ხდება, რომ პიროვნებისათვის შეურაცხმყოფელი არ იყოს. ფონდმა დააწესა, აგრეთვე საერთაშორისო პრემია „მშვიდობის ელჩი“, ის იმ მოღვაწეებს გადაეცემათ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მშვიდობის განმტკიცებაში. 2005 წლის „მშვიდობის ელჩის“ პრემია გადაეცათ საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსს, ცნობილ ბალერინას ნინო ანანიაშვილს, თბილისის კონსერვატორიის რექტორს მანანა დოიჯაშვილს და მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილს.

**ნათელა ფაილოძე.**

◎ სისხლის ყივილი

# ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს...

**ამ წერილში ერთობ უცნაური და საინტერესო ოჯახური ისტორიის შესახებ მოგითხრობთ, რომელსაც თამამად შეგვიძლია ტრაგიკულიც ვუწოდოთ.**

რედაქციაში 39 წლის ახალგაზრდა კაცი, ჯანო ივანიშვილი გვეწვია, რომელმაც თავისი გასაჭირი გულისტკივილით გაგვანდო და როგორც ზემოთ ვახსენე, საკმაოდ საინტერესო ისტორიას მოგვიყვა.

მამამისი, გრიშა კულიჯანოვი, რომელიც უკვე თოთხმეტი წელია გარდაიცვალა, თავის დროზე შეზოფრენიით დაავადებული ყოფილა.

გრიშა კულიჯანოვს ამ დაავადების იმდენად მწვავე გამოვლინებები ახასიათებდა, რომ მას კანონით დაქორწინება აეკრძალა, თუმცა წარმოსადეგი ახალგაზრდა ქალების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის იჩენდა და სუსტი სქესის წარმომადგენლებიც საპასუხო გრძნობას ამჟღავნებდნენ მის მიმართ.

სწორედ ერთ-ერთ ამგვარ სიტუაციაში კულიჯანოვმა არც თავის ავადმყოფობას და არც კანონის აკრძალვას ყური არ ათხოვა და დაქორწინდა.

იგი გარკვეული ხნის მანძილზე ფარულ ქორწინებაში იმყოფებოდა, მაგრამ კულიჯანოვის შეზოფრენიას აქტიური პერიოდი დაეწყო და მისი მეუღლე იძულებული გახდა პოლიციისთვის მიემართა.

პოლიციამ გრიშა კულიჯანოვი ალტერნატივის წინაშე დააყენა, იგი ან ოჯახს დატოვებდა, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა.

კულიჯანოვმა პირველი ვარიანტი ირჩია და კახეთიდან თბილისს გამოეშურა.

პირველი ქორწინებიდან მას ვაჟიშვილი გელა დარჩა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთ ეპარქიაში მორჩილია და რომელიც მამინაცვლის გვარით (ჭარელაშვილი) ცხოვრობს.

ჯანო ივანიშვილი, ვინც რედაქციაში მოგვაკითხა, გრიშა კულიჯანოვის შვილია მეორე ქორწინებიდან და მასაც დედის გვარი აქვს მიღებული.

საინტერესო ის არის, რომ გრიშა კულიჯანოვმა, რომელსაც ქორწინება კანონით ჰქონდა აკრძალული, ოთხჯერ იქორწინა და ოთხივე ქორწინებისას შვილები ეყოლა.

გრიშა კულიჯანოვი 1991 წელს გარდაიცვალა და ჯანო ივანიშვილი სწორედ იქიდან მოყოლებული ეძებს თავის ძმებსა და დას.

ჯანო ივანიშვილს ორი ძმა და ერთი და ჰყავს, რომლებიც თვალითაც არასდროს უნახავს, ვინაიდან კულიჯანოვის ყველა ყოფილი მეუღლე შვილებს მკაცრად უკრძალავს მამის ნათესავებთან შეხვედრას.

ჯანო ივანიშვილმა იცის, რომ მისი და ბორჯომში ცხოვრობს, მაგრამ მას არ იცნობს, არასდროს შეხვედრია.

მან იცის, აგრეთვე მამიდების არსებობის შესახებ, რომელთაგან ერთი ნაძალადევის რაიონში სახლობს, ხოლო მეორე რუსთავში, მაგრამ მათგან ინფორმაციის მიღებას ვერ ახერხებს.

ჯანო ივანიშვილს ურთიერთობა აქვს ბიძაშვილებთან, რომლებიც ავჭალაში ცხოვრობენ. სწორედ მათ აპოვნინეს მას უფროსი ძმა გელა, რომელსაც იგი აღდგომა დღეს მამის საფლავთან შეხვდა.

ჯანო ივანიშვილი ამჟამად თავის უმცროს ძმას ეძებს, რომელიც გრიშა კულიჯანოვს ბერძენ ქალთან ქორწინებისას გაუჩნდა.

ივანიშვილი ძმას არასოდეს შეხვედრია. მხოლოდ ის იცის, რომ იგი 1977 წელს არის დაბადებული და თბილისში, ჯავის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს.

ჯანო ივანიშვილმა ძმის მხოლოდ სახელი იცის — სოსო (იოსები). დაზუსტებით არ იცის მისი გვარი, ვინაიდან ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ბერძენმა დედამ შვილი საკუთარ გვარზე გადაიყვანა!

ივანიშვილი ძმას თბილისის სამისამართო ბიუროში ეძებდა, მაგრამ იქ მას ვერანაირი ცნობა ვერ მიაწოდეს. უშედეგო იყო ძმის მოძიება მე-12 საშუალო სკოლაშიც, სადაც სავარაუდოდ მას უნდა ესწავლა.

ჯანო ივანიშვილი ფიქრობს, რომ მისი უმცროსი ძმის ასავალ-დასავალი, შესაძლოა, იცოდეს ნაძალადევში მცხოვრებმა მისმა მამიდამ.

სწორედ ამიტომ მას მამიდასთან დედამისი მიუგზავნია, მაგრამ მამიდამისს სასტიკი უარი უთქვამს ძმისშვილისა და ყოფილი რძლისთვის ამ საქმეში დახმარებაზე.

ამ ამბავში მე ნუ ჩამრევთო, — ორივე ხელით უუარია ქალბატონ კულიჯანოვს.

უმცროს ძმაზე ჯანო ივანიშვილი განსაკუთრებით იმიტომ სწუხს, რომ არაფერი იცის მისი ბედის შესახებ.

„ერთ ძმას მაინც ვიცნობ და ვიცი, რომ სასულიერო ცხოვრებას ეწევა, ვიცი ისიც, რომ ჩემი და ბორჯომში დედასა და ნათესავებთან ერთად ცხოვრობს.

მხოლოდ უმცროს ძმას ვერ მივაგენი და მისი ავან-ჩავანიც ჩემთვის ბურუსითაა მოსილი.

შეიძლება, ძალიან უჭირს. იქნებ შია და სწყურია.

შეიძლება, არც არის საქართველოში და დედამისმა საბერძნეთში წაიყვანა. გაუგებრობაში ვარ და ეს მოსვენებას არ მაძლევსო, გულისტკივილით, მწარედ შემოგვჩივლა ჯანო ივანიშვილმა.

მართლაც ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც ოჯახური სითბო ბავშვობიდანვე მოაკლდა და რომელსაც ბედმა მოზრდილობაშიც ერთობ მძიმე ხვედრი არგუნა.

ღვიძლი მამის შვილები ბედმა ისე მიმოფანტა, რომ ერთმანეთის არათუ სიყვარული, უბრალო შეხვედრა და გაცნობაც არ აღირსა.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯანო ივანიშვილი ბედის ამგვარ სიავეს ქედს არ უხრის და ყველა ღონეს ხმარობს ღვიძლი ძმის საპოვნელად.

რედაქციაშიც სწორედ ამიტომ მოგვადგა. ვინიცობაა, თქვენი გაზეთი ჩემს ძმას ხელთ ჩაუვარდეს და ამ გზით ვიპოვოთ ერთმანეთიო.

**ჯაბა ხუბუა.**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ 19 წლის, ვსწავლობ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში, რამდენიმე თვის წინათ საავტომობილო კატასტროფაში დამეღუპა 50 წლის მამა, რომელიც ჩვენი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. დედა არ მუშაობს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია მამის გარდაცვალების გამო?**

**მედეა მონასელიძე.**

— ჩვენო მედეა,

გითანაგრძნობთ მწუხარებაში მამის გარდაცვალების გამო, გამძლეობას და ნათელ მომავალს გისურვებთ.

აქვე განგიმარტავთ, რომ თუ თქვენ სწავლობთ უმაღლეს სასწავლებელში და არ მუშაობთ, მამის გარდაცვალების გამო პენსია უნდა დაგენიშნოთ და მოგეცეთ სწავლის დამთავრებამდე, მაგრამ არაუმეტეს 23 წლის ასაკისა. ვინაიდან, შეკითხვაში არ მიუთითებთ, კონკრეტულად როდის გარდაგეცვალათ მამა, ზოგადად განგიმარტავთ, რომ თუ მამის გარდაცვალებიდან არ არის გასული 3 თვე, პენსიის დანიშვნის საკითხზე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომ პენსია მოგეცეთ მამის გარდაცვალების დღიდან. თუ 3 თვე უკვე გავიდა, კანონის თანახმად, პენსია, სამწუხაროდ, მხოლოდ ზემოაღნიშნულ განყოფილებაში მიმართვისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან მოგეცემათ.

**— ცოტა ხნის წინათ გარდამეცვალა მამა, სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი. რჩება თუ არა ოჯახს შეღავათები გაზის, დენის და სხვა კომუნალური გადასახადების გადახდის დროს და რა ოდენით?**

**ამირან სახვაძე.**

— თუ თქვენ გყავთ პენსიონერი დედა, იგი მეუღლის გარდაცვალების გამო ისარგებლებს გარკვეული შეღავათებით, რაზედაც სათანადო საბუთის მისაღებად უნდა მიმართოს ომის ვეტერანთა დეპარტამენტს.

აქვე განგიმარტავთ, რომ შრომისუნარიანი შვილები ომის ინვალიდი მამის გარდაცვალების შემთხვევაში შეღავათებით ვერ სარგებლობენ, თუ არ არიან ბავშვობიდან ინვალიდები და არ იღებენ პენსიას მამის გარდაცვალების გამო.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**იუბილე**

# მოგზაური ქანდაკება

**ბარონესა მარგარეტ ტეტჩერს მსოფლიოში ყველა იცნობს როგორც დიდ პოლიტიკურ ფიგურას. მასზე მრავალი დაწერილა და იწერება კიდევ. ა. წ. 12 ოქტომბერს მარგარეტ ტეტჩერს 80 წელი შეუსრულდა, რაც ბრიტანეთის კუნძულებზე ფართოდ აღინიშნა.**

ბრიტანეთის სამეფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „რკინის ლედის“ სახელით ცნობილ მარგარეტ ტეტჩერის სკულპტურული პორტრეტი უკვე დიდი ხანია, რაც გამოძერწილია.

სკულპტურა ხუთი მეტრი სიმაღლისაა და ორ ტონამდე იწონის, მაგრამ დღემდე დასადგმელ ადგილს დიდ ბრიტანეთში ვერ პოულობს. თუმცა ის თემთა პალატის ოფისში დასადგმელად დამზადდა.

საკმაო დრო გავიდა, ხოლო მისი დასადგმელი ადგილი ვერა და ვერ იქნა მოძებნილი. ამის მიზეზი



კი ისევ და ისევ ბრიტანეთის სამეფოს კონსერვატიული კანონმდებლობაა.

საერთოდ, თემთა ან ლორდთა პალატებში სახელგანთქმულ სახელმწიფო მოღვაწეთა ძეგლი იმ შემთხვევაში იდგმება, თუ ორივე პალატის თანხმობით იქნება დადგენილება მიღებული. მარგარეტ ტეტჩერის ძეგლის დადგმის გადაწყვეტილება კარგა ხანია ორივე პალატამ მიიღო და ქანდაკებაც დიდი ხანია მზად არის, მაგრამ ისევ იგივე კონსერვატიული კანონებით — პიროვნების ძეგლი იდგმება მხოლოდ ამ პიროვნების გარდაცვალებიდან წლის გასვლის შემდეგ!

გასული წლის ზაფხულში „რკინის ლედიმ“ თანხმობა განუცხადა არიზონას შტატის ქალაქ ლეიკჰავასუს მუნიციპალიტეტს, რომ დროებით იქ დაიდგას ეს მზა ქანდაკება.

„რკინის ლედის“ თაყვანისმცემელთა რიცხვი ბრიტანეთში საკმაოდ დიდია, რომელთა სურვილია, ეს ქანდაკება დიდხანს დარჩეს არიზონას შტატში.

**ნოდარ კოჭლაშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოში ამზადებენ ბაზებს 1944 წელს განდევნილი ხალხის რეპატრიაციისთვის

**(პირველი გვერდიდან)**

სამშობლოში დაბრუნების რეალური იმედი ამ ხალხს ჩაესახა მხოლოდ 1999 წელს. საქართველო მაშინ გაწევრიანდა ევროპის საბჭოში და ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე დასმული ერთ-ერთი პირობა იყო სწორედ დევნილი ხალხის სამშობლოში დაბრუნება. ევროპის საბჭომ ვადებიც კი განსაზღვრა: მესხეთელი თურქები საქართველოში 2011 წლამდე უნდა დაბრუნდნენ.

„ახლა, — აღნიშნავს სულეიმან ბარბაქაძე, — უკვე არის მთავარი — თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან

**ანატოლი გორდიენკო, „ნეზავისიმაია გაზეტა“, 13 ოქტომბერი.**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

ჩვენი ხალხის მასობრივი დაბრუნების პროგრამა. რა თქმა უნდა, ეს რთული პროცესი იქნება, რადგან, საქმე ეხება ასი ათასობით ადამიანის გადასახლებას. ფინანსური პრობლემები საქართველოს მთავრობას არ უნდა შეექმნას, რადგან ამ საკითხების მოგვარებას კისრულობს ევროპის საბჭო. იმედი გვაქვს, რომ უკვე მიმდინარე წლის დამლევამდე მიიღებს საქართველოს პარლამენტი შესაბამის კანონს რეპატრიაციის შესახებ“. მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ბოლო წლებში საქართველოში დაბრუნდა ათასამდე მესხეთელი თურქი. „ვათანში“ უკვე ფიქრობენ იმაზე, რომ თბილისში გახსნან თავიანთი ორგანიზაციის ოფისი, რომელიც ადგილებზე მოაგვარებს რეპატრიანტთა დასახლების პრობლემებს. სამცხე-ჯავახეთში ასზე მეტი სოფელია, რომლებშიც ოდესღაც ცხოვრობდნენ მესხეთელი თურქები, ახლა კი იქ, ფაქტობრივად, არავინ აღარ არის.

# არ არის საჭირო მკვეთრი მოძრაობები

**როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციების შესახებ“, რომლის ავტორებიც რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს ადანაშაულებენ სეპარატიზმის მხარდაჭერასა და მრავალ სხვა ცოდვაში. დადგენილება ითვალისწინებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტისა და კონფლიქტების ზონებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყვანის საკითხის დასმას, თუ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 2006 წლის 10 თებერვლამდე არ შეიცვლება სამშვიდობო ოპერაციის ხასიათი, მომავალი წლის 1 ივლისამდე კი აფხაზეთში არ მოხდება კარდინალური ცვლილებები. საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ მიღებული დადგენილების განმარტებისას განაცხადა, რომ რუსეთი ასრულებს უარყოფით**



**როლს როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში და საქართველოს ძალზე მცირე საფუძველი აქვს იმისთვის, რომ პოზიტიურად იყოს განწყობილი რუსეთის მიმართ. ამასთან, ქალბატონმა ბურჯანაძემ ისიც აღნიშნა, რომ „დადგენილება არ არის ანტირუსული ხასიათის და არ დაწერილა ულტიმატუმის ფორმით“.**

რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება რუსეთში უყურადღებოდ არ დარჩენილა. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მას უწოდა „პოლიტიკური, და არა სამხედრო გადაწყვეტილება“ და თქვა, რომ იგი ვერ მოახდენს გავლენას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მშვიდობისმყოფელთა საქმიანობაზე. მინისტრის თქმით, საქართველოს მხარეს შეუძლია წამოჭრას მშვიდობისმყოფელთა გაყვანის საკითხი, და მას განიხილავენ საგარეო-პოლიტიკური უწყებების ან პარლამენტების დონეზე. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი, ქართველი პარლამენტარები გააფრთხილა „თავი შეიკავონ მკვეთრი მოძრაობებისგან“. „ჩვენ ნაბიჯებს ვდგამთ სხვა პარტნიორებთან, კერძოდ, გაეროსთან და ეუთოსთან ერთად, რათა დავეხმაროთ მხარეებს და შევქმნათ საფუძველი კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებისთვის“ — აღნიშნა მინისტრმა და გაიხსენა, რომ რუსი მშვიდობისმყოფლები კონფლიქტების ზონებში მოქმედებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მანდატით და გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერით. „მსხვერპლის ფასად, ამ წლებში ჩვენ დავკარგეთ 60 მშვიდობისმყოფელი, ისინი უზრუნველყოფენ მთავარს, სისხლისღვრის განუახლებლობას“, — თქვა ლავროვმა. მან ასევე გაუსვა ხაზი, კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ძალების

**ვიქტორ რუჩკინი, „კრასნაია ზვეზდა“, 13 ოქტომბერი.**

КРАСНАЯ ЗВЕЗДА

ყოფნის პოზიტიურ მხარეებს: განახლებულია სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლა, აგრეთვე, მუშაობა გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნებისთვის. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, რუსი მშვიდობისმყოფლების გაყვანის საკითხი წამოჭრეს იმ პირებმა, რომლებსაც „ხელს არ აძლევთ ასეთი წინსვლა“.

საქართველოს პარლამენტის განცხადებას სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ძალების ყოფნის შესახებ მორიგების დენონსირების თაობაზე, არ შეიძლება მოჰყვეს იურიდიული შედეგები, მიაჩნია მოსკოვში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელს დიმიტრი მედოევს. როგორც მან თქვა, სამშვიდობო ძალების გამოყვანა სამხრეთ ოსეთიდან დაუშვებელია კონფლიქტის მონაწილე მხოლოდ ერთი მხარის სურვილით. თავის მხრივ, თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ რუსეთმა, ისევე, როგორც გაერომ, იკისრა პასუხისმგებლობა რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგებისა და ომის განუახლებლობისთვის, ამიტომ, სამშვიდობო ძალების გაყვანა მხოლოდ შეუწყობს ხელს საქართველოს აგრესიულ ზრახვებს. ამასთან დაკავშირებით შამბას მიაჩნია, რომ რუსეთს არა აქვს ასეთი აფეთქებასაშიში რეგიონიდან თავისი მშვიდობისმყოფლების გაყვანის მორალური უფლება. ამავე დროს, შამბამ აღნიშნა, რომ რეგიონში თუ არ იქნებიან მშვიდობისმყოფლები, იქ ვერ შეძლებენ მუშაობას გაეროს სამხედრო მეთვალყურეებიც, ეს კი მხოლოდ ჩაშლის სამშვიდობო პროცესსა და ყველა მიღწეულ შეთანხმებას. „აფხაზეთი, — თქვა შამბამ,- არ დათანხმდება სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას, ხოლო საქართველო თუ განახორციელებს კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული შეთანხმებების დენონსაციას და დასვამს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების დაუყოვნებელი გაყვანის საკითხს, საზღვარზე ჩვენ შეიარაღებულ ძალებს განვალაგებთ“. საქართველოს პარლამენტის ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვევს ვითარების სერიოზულ გამწვავებას რეგიონში.


## სს „თბილისის სიტის“ აქციონერთა საერთო რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

2005 წლის 4 ნოემბერს ქ. თბილისში, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №4-ში, მე-3 სართულზე, 12 საათზე გაიმართება სს „თბილისის სიტის“ რიგგარეშე საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით.

1. საზოგადოების 2004 წლის წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

2. საზოგადოების ქონების (შპს „ჯი-ემ-თი უძრავი ქონებას“ 35 პროცენტიანი წილის, შპს „ჯი-ემ-თი სასტუმროების“ საწესდებო კაპიტალის 35 პროცენტიანი წილის, შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდას“ საწესდებო კაპიტალის 40 პროცენტიანი წილის) გასხვისების თაობაზე (ქ. თბილისის მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემის) თანხმობის მიცემა.

რეკომენდაციები

— სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა დღის წესრიგის საკითხების დადებითად გადაწყვეტის თაობაზე.

აქციონერებს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ საერთო კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე შპს „ICT“ დელამენის“ ოფისში, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №153.

გთხოვთ, თან იქონიოთ პირადობის მოწმობა და/ან უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.


**კალათბურთი**

# ავიატორთა პირველი ტიტული

**შარშან შექმნილი ქვეყნის ვიცეჩემპიონი „თბილავიამშენი“ გუშინ პირველ ტიტულს დაეუფლა — ლევან მოსეშვილის გუნდმა დუდუ დადიანის IV მემორიალის ფინალში თსუ „ნიკორას“ სძლია — 88:77. აღსანიშნავია, რომ ბატონი ლევანი ხსოვნის I ტურნირის გამარჯვებულიც გახლავთ — მაშინ იგი თბილისის „დინამოს“**



**წვრთნიდა, ხოლო ორჯერ ყველას სტუ-მ აჯობა.**

ვერის ბაღში გუშინ გამართული გადამწყვეტი შეხვედრა პირველივე წუთიდან ავიატორთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი წარმატება საფინალო სასტვენამდე კარგახნით ადრე გამოიკვეთა, რაც უმთავრესად როდუმტას, ხოშტარიასა და მარკოიშვილის დამსახურებაა. რაც შეეხება სტუდენტთა თამაშს, თვალშისაცემი იყო, რომ მათ წინადღით სტუსთან გადატანილი მძიმე ბრძოლის შემდეგ ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს.

გთავაზობთ კიდევ ორი დასკვნითი მატჩის შედეგს: **III ადგილისათვის:** „აზოტი“ — სტუ 101:85, **V ადგილისათვის:** — „დინამო“ — სსუ 93:69. ბოლო ადგილი „მაქაბიმ“ დაიკავა.

აქვე გაუწყებთ, რომ გაზეთ „ოლიმპის“ რედაქციისა და კომპანია „ბეკოს“ მიერ დაწესებული ტრადიციული პრიზებით მემორიალის საუკეთესო ბომბარდირი დავით თორთლაძე (სსუ) და ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელი გიორგი შერმადინი („მაქაბი“) დაჯილდოვდნენ.

**სურათებზე**: ფინალის მომენტი; ხსოვნის ტურნირის გამარჯვებული — „თბილავიამშენი“.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



**ჭადრაკი**

## გარი კასპაროვი:

# ვინც ახლა გაიმარჯვებს...

**მსოფლიოს ერთადერთი და ღირსეული ჩემპიონიც ის იქნება — განაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სან-ლუისში მიმდინარე 8 უძლიერესი დიდოსტატის შეჯიბრების შესახებ.**

კასპაროვის აზრით, ამ ასპარეზობის შემადგენლობა უაღრესად ობიექტურად შეირჩა, და ამის შემდეგ უაზრობაა ლაპარაკი „მსოფლიო ჩემპიონზე (კლასიკურ ჭადრაკში“ თუ „მსოფლიო ჩემპიონზე ფიდეს ვერსიით“. ისე, რომ ამ დღეებში (რაღა დარჩა!) მსოფლიოს ერთადერთი ჩემპიონი ეყოლება.

რაც შეეხება ვლადიმირ კრამნიკს, რომელიც დღემდე მიიჩნევს თავს „მსოფლიო ჩემპიონად კლასიკურ ჭადრაკში“, მან, კასპაროვის აზრით, სჯობს საკუთარი რეიტინგის გაუმჯობესებაზე იფიქროს. კრამნიკი ამ, უაღრესად მნიშვნელოვან და ავტორიტეტულ სიაში, ოქტომბრის მონაცემებით, მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა!

აი ეს რეიტინგ-ლისტიც დღეისათვის:

1. კასპაროვი (რუსეთი) — 2812 ქულა. 2. ანანდი (ინდოეთი) — 2788. 3. ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2782. 4. ლეკო (უნგრეთი) — 2751. 5. ივანჩუკი (უკრაინა) — 2748. 6. სვიდლერი (რუსეთი) — 2740. 7. კრამნიკი (რუსეთი) — 2739. 8. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 2735. 9. ბაკრო (საფრანგეთი) — 2725. 10. არონიანი (სომხეთი) — 2724. 11. გრიშჩუკი (რუსეთი) — 2720. 12. ადამსი (ინგლისი) — 2718. 13. გელფანდი (ისრაელი) — 2717. 14. შიროვი (ესპანეთი) — 2710. 15. ნისიპიანუ (რუმინეთი) — 2707. 16. აკოფიანი (სომხეთი) — 2707. 17. მოროზევიჩი (რუსეთი) — 2707. 18. რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — 2704. 19. პონომარიოვი (უკრაინა) — 2704. 20. ტივიაკოვი (ჰოლანდია) — 2700.

**ფეხბურთი**

# ბრუნდება ღირსეულ წაგებათა ეპოქა

**როგორც იქნა, დასრულდა 2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი — უკვე გამოვლინდა ის 27 ნაკრები, რომელიც გაისად გერმანიის სტადიონებზე უმაღლესი ფორუმის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ესენი არიან გერმანია (მასპინძელი), პორტუგალია, ინგლისი, პოლონეთი, ჰოლანდია,**



**იტალია, ხორვატეთი, უკრაინა, შვედეთი, სერბეთი, საფრანგეთი, არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, ეკვადორი, მექსიკა, აშშ, კოსტა-რიკა, იაპონია, ირანი, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა, ტოგო, განა, ანგოლა, ტუნისი, კოტ დივუარი. კიდევ 5 რჩეულს პლეი-ოფები გაარკვევს, რომლის კენჭისყრაც დღეს გაიმართება. პირველ ევროპულ კალათაში მოხვდნენ ჩეხეთი, ესპანეთი და თურქეთი, ხოლო მეორეში — ნორვეგია, შვეიცარია და სლოვაკეთი (ფიფას სექტემბრის რეიტინგის მიხედვით). მათი ორრაუნდიანი დუელი 12 და 16 ნოემბერსაა დანიშნული, რაც შეეხება დანარჩენ ორ საგზურს, ისინი შემდეგ წყვილებში გათამაშდება: ბახრეინი-ტრინიდადი ან გვატემალა და ავსტრალია-სამხრეთ ამერიკის ჯგუფის მეხუთეადგილოსანი.**

ეს, ასე ვთქვათ, საოქმო — სტატისტიკური სურათი, ახლა კი ჩვენს უმთავრეს სატკივარზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, მით უმეტეს, ევროპის მოქმედ ჩემპიონებთან სტუმრად მინიმალური ანგარიშით (0:1) წაგებამ ზოგ-ზოგიერთებს ახლო წარსულში განცდილ ღირსეულ დამარცხებათა ნოსტალგია გაუღვივა. ვერაფერს იტყვი კაცი — მათი ნებაა, თუმცა...



გემახსოვრებათ, შარშან უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპს თბილისის „დინამო“ ზოგადად უსახელოდ, ხოლო კონკრეტულად — უქულოდ და უგოლოდ ემშვიდობებოდა. მართალია, მაშინ „პანიონიოსმა“ „მხოლოდ“ 5:2 მოგვიგო, მაგრამ პრესტიჟი ნაწილობრივ მაინც შეგვინარჩუნა (მიუხედავად მატჩის შემდგომ ატეხილი სატოტალიზატორო სკანდალისა). მიხვდით, ხომ, რასაც ვგულისხმობ. მოკლედ, მადლობა ბერძნებს. საინტერესოა, მათს ადგილზე ჩვენ თუ დავინდობდით წაქცეულ მეტოქეს (ეს თანაბარწილად ეხება როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო თემას).

და ბოლოს, ვინაიდან ქართული ტელეარხები ამჯერადაც გაუფრთხილდნენ თანამემამულეთა ჯანმრთელობას და არ შემოგვთავაზეს ჰუმანიტარული შეხვედრის პიდაპირი რეპორტაჟი, ალალ მადლობას მათ მესვეურებსაც ვწირავთ.

გთავაზობთ შესარჩევი რაუნდის დასკვნითი ტურის სრულ შედეგებს (ევროპის ზონა).

**I ჯგუფი.** ფინეთი-ჩეხეთი 0:3, ჰოლანდია-მაკედონია 0:0, ანდორა-სომხეთი 0:3.

ჰოლანდია — 32, ჩეხეთი — 27, რუმინეთი — 25, ფინეთი — 16, მაკედონია — 9, სომხეთი — 7, ანდორა — 5 ქულა.

**II ჯგუფი.** ალბანეთი — თურქეთი 0:1, ყაზახეთი — დანია 1:2.

უკრაინა — 25, თურქეთი — 23, დანია — 22, საბერძნეთი — 21, ალბანეთი — 13, საქართველო — 10, ყაზახეთი — 1 ქულა.

**III ჯგუფი.** სლოვაკეთი-რუსეთი 0:0, პორტუგალია-ლატვია 3:0, ლუქსემბურგი-ესტონეთი 0:2.

პორტუგალია — 30, სლოვაკეთი, რუსეთი — 23-23, ესტონეთი — 17, ლატვია — 15, ლიხტენშტეინი — 8 ქულა, ლუქსემბურგი — 0.

**IV ჯგუფი.** საფრანგეთი-კვიპროსი 4:0, ირლანდია-შვეიცარია 0:0.

საფრანგეთი — 20, შვეიცარია, ისრაელი — 18-18, ირლანდია — 17, კვიპროსი — 4, ფარერები — 1 ქულა.

**V ჯგუფი.** ბელორუსია-ნორვეგია 0:1, იტალია-მოლდოვა 2:1, სლოვენია-შოტლანდია 0:3.

იტალია — 23, ნორვეგია — 18, შოტლანდია — 13, სლოვენია — 12, ბელორუსია — 10, მოლდოვა — 5 ქულა.

**VI ჯგუფი.** ავსტრია-ჩრდილოეთ ირლანდია 2:0, ინგლისი-პოლონეთი 2:1, უელსი-აზერბაიჯანი 2:0.

ინგლისი — 25, პოლონეთი — 24, ავსტრია — 15, ჩრდილოეთ ირლანდია — 9, უელსი — 7, აზერბაიჯანი — 3 ქულა.

**VII ჯგუფი.** ლიტვა-ბელგია 1:1, სანმარინო-ესპანეთი 0:6, სერბეთი — ბოსნია 1:0.

სერბეთი — 22, ესპანეთი — 20, ბოსნია — 16, ბელგია — 12, ლიტვა — 10, სანმარინო — 0 ქულა.

**VIII ჯგუფი.** უნგრეთი-ხორვატეთი 0:0, შვედეთი-ისლანდია 3:1, მალტა-ბულგარეთი 1:1.

ხორვატეთი, შვედეთი — 24-24, ბულგარეთი — 15, უნგრეთი — 14, ისლანდია — 4, მალტა — 3 ქულა.

**აზიის ზონა.** გადათამაშება. ბახრეინი-უზბეკეთი 0:0 (პირველი მატჩი 1:1).

**ამხანაგური მატჩები:** გერმანია-ჩინეთი 1:0, უკრაინა-იაპონია 1:0, სამხრეთ კორეა-ირანი 2:0.

**გია პლატონიშვილი**

**სპორტულ ორბიტაზე**



## მოაშორეთ ბექჰემი ფულს!

**გასული საუკუნის სამოციან წლებში ცნობილი პოეტის ანდრეი ვოზნესენკის მოწოდება „მოაშორეთ ლენინი ფულს — ის უფრო ძვირფასი გახდება“ გაგვახსენდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ დიდ ბრიტანეთში აპირებენ მონეტებზე თითოეული ბრიტანელისთვის ნაცნობი სახეების — ფეხბურთელების დევიდ ბექჰემის, სოლ კემპბელის, ფრენკ ლემპარდისა და მაიკლ ოუენის — გამოსახულების ამოტვიფრვას. თანაც უბრალო მონეტებზე კი არა, ოქროსი. ამ ფეხბურთელების გამოსახულებანი იქნება 25-გირვანქიან ოქროს მონეტებზე. ისინი 100 გირვანქად გაიყიდება. რადგან ეს ოქროს სერია საბრუნველად კი არა, ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სუვენირებად იგულისხმება.**

ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი მონაწილე ხომ ინგლისის ნაკრებიც იქნება, რამაც დიდი თავის ტკივილი თუ არა, თავსატეხი გაუჩინა სკოტლენდ-იარდსაც და გერმანიის პოლიციის მათ კოლეგებსაც — ისევ და ისევ ბრიტანელი ფეხბურთის ხულიგნების გამო.

## „სამგლოვიარო — საზეიმო“ ცემა-ტყეპა

**დაახლოებით ასე შეიძლება ეწოდოს იმ მასობრივ ხელჩართულ ჩხუბს, ბრატისლავაში, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის — სლოვაკეთი-რუსეთის — შემდეგ რომ გაიმართა. ალბათ უკვე იცით, ჯერჯერობით ჩემპიონატის ფინალური ნაწილისაკენ გზა პლეი-ოფის საშუალებით სლოვაკეთმა შეინარჩუნა.**

თუმცა რუსეთელმა გულშემატკივრებმა ჯერ კიდევ წინა ღამით „ისახელეს თავი“. ინციდენტი ბრატისლავის ცენტრში, ერთ-ერთ მოდურ ღამის კლუბში მოხდა, რაშიც 50-მდე რუსეთელი გულშემატკივარი მონაწილეობდა. ჩხუბის დროს ჩაამსხვრიეს მინები და დაამტვრიეს კლუბის კარები. ორი რუსეთელი დანით სერიოზულად დაიჭრა, ხოლო 37 პოლიციაში აღმოჩნდა.



გამომწვევად იქცეოდნენ რუსეთელი სტუმრები თვით მატჩის დროსაც. ტრიბუნებზე, — იმ სექტორში, სადაც რუსეთელი გულშემატკივრები ისხდნენ, რამდენჯერმე წაუკიდეს ცეცხლი ტრანსპარანტებს. ერთ-ერთი კი მინდორზეც კი აღმოჩნდა, რის გამო მთავარმა მსაჯმა ცოტა ხნით მატჩიც შეაჩერა. მეორე ტაიმში ფანატებმა რუსეთიდან აალებული ფაიერი პირდაპირ მეზობელ სექტორში ისროლეს, სადაც არანაკლებ აგრესიული ადგილობრივი გულშემატკივრები ისხდნენ.

ტრიბუნებზე ხელჩართული ჩხუბი პოლიციის ოპერატიული ჩარევით აიცდინეს თავიდან, მაგრამ ის მაინც მოხდა რუსებისთვის უსიამოვნო ფრეთი დამთავრებული შეხვედრის შემდეგ. ადგილობრივი სტადიონიდან „სლოვან“ სამიოდე კვარტალის მოშორებით რუსი და სლოვაკი გულშემატკივრები, დაახლოებით 50 კაცი, მაინც წაიძიგილავდნენ. თუმცა აქაც ბრატისლავის სამართალდამცველი ორგანოების ოპერატიული მოქმედებით მსხვერპლი თავიდან იქნა აცილებული.

## თუ ფეხბურთი არ იცოდი...

**...მაშ ინგლისში რა გინდოდა? — დაახლოებით ასე უნდა გავიგოთ დიდი ბრიტანეთის საიმიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკების საქციელი, რომლებმაც ლონდონის ხიტროუს აეროდრომზე მკაცრი „საფეხბურთო გამოცდა“ მოუწყეს ისრაელიდან სტუმრად მომავალ 24 წლის ოფიციანტს ოდედ კალფონს და ქვეყანაში არ შეუშვეს.**

აეროპორტში საპასპორტო კონტროლის გავლისას საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელმა მას ჰკითხა, თუ რის გაკეთებას აპირებდა ბრიტანეთის დედაქალაქში. კალფონმა დაუფიქრებლად უპასუხა, რომ უნდა დაესწროს რომელიმე ფეხბურთის მატჩს. მაშინ შარიანი ჩინოვნიკი დაინტერესდა, თუ კერძოდ რომელი გუნდის მატჩის ხილვა უნდოდა მას, რაზეც ასევე დაუფიქრებელი პასუხი მიიღო — „ჩელსის“ ან „არსენალისაო“.

ამის შემდეგ საწყალი ებრაელი სტუმრის დაკითხვა კიდევ 4 საათს გაგრძელდა. მას შეუერთდნენ ხიტროუს საიმიგრაციო სამსახურის სხვა ჩინოვნიკებიც. მათ კალფონს მოსთხოვეს „ჩელსის“ ან „არსელანის“ თუნდაც ერთი ფეხბურთელის დასახელება. თუმცა დაძაბულობის გამო მან ვერცერთი გვარი ვერ გაიხსენა. ისე რომ, აეროპორტში 8 საათის ყოფნის შემდეგ ბედუკუღმართი გულშემატკივარი უკან, ისრაელში გაამგზავრეს.

ეს ამბავი გახმაურდა, როდესაც ჟურნალისტებმა კომენტარი დიდი ბრიტანეთის საიმიგრაციო სამსახურის საზოგადოებასთან კავშირის განყოფილებიდან მოითხოვეს, ერთობ დიპლომატიური, ყოვლის მომცველი პასუხი მიიღეს: „ჩვენი ქვეყნის ყველა სტუმარს პატივისცემით უნდა შევხვდეთ, ხოლო მათი საქმეები მაქსიმალური ობიექტურობით უნდა განიხილებოდეს!“ მიდი და გამოედავე.

## მოკრივის ცოლი კომიკოსის მუხლებზე

**როგორც იქნა, შედგა. „შავი“ კომედიის 44 წლის მეფის ედი მერფის განქორწინება ნიკოლ მერფისთან, რომელსაც კომიკოსმა დაუტოვა ხუთი შვილი და უზარმაზარი სახლი-ბევერლი-ჰილზში, თავად კი ახალი თანამგზავრის ძებნა დაიწყო.**



შეგახსენებთ, რომ, ოფიციალური მონაცემებით, მსახიობმა შარშან 45 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, თუმცა ამ განქორწინებით კინოვარსკვლავის ჯიბე სერიოზულად დაცარიელდა.

ბოლო ხანებში მას ხშირად ხედავენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მაიკ ტაისონის ყოფილ ცოლთან, 40 წლის რობინ გივენსთან ერთად. მათი ბოლო შეხვედრა ჰოლივუდის კლუბ „კაბანაში“ყოფილმა მოდელმა ედის მუხლებზე გაატარა, რითაც თავად მერფი უკმაყოფილო სულაც არ ყოფილა.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



გურჯაანის რაისაბჭოს ალმასკომის ყოფილი თავმჯდომარის პირველი მოადგილე გივი იმერლიშვილი (მარცხნივ) და გურჯაანის მილიციის უფროსის პირველი მოადგილე აბრამ ხარაშვილი. 1971 წელი.

მოგვაწოდა აბრამ ხარაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

## ცოტაც გავიცინოთ...

**ოპოზიციის** მოვალეობაა არა ხელისუფლების ხელაღებით ძაგება, არამედ მისთვის მხოლოდ იმის შეხსენება, რომ იგი უზენაესი არ არის.

მთავარი კი მაინც ის გახლავთ, მან ეს არ დაივიწყოს, თუ თვითონ მოვა ხელისუფლების სათავეში.

* * *

**ახალგაზრდა** გოგონასთან პალატაში ექიმი შედის.

— აბა, გაიხადეთ, უნდა გაგსინჯოთ.

— მაგრამ სულ ახლახან სხვა ექიმმა გამსინჯა და მითხრა, რომ საუცხოო ფორმაში ვარ.

— მან მეც იგივე მითხრა.



* * *

— **ექიმო**, რა ვქნა?! ისეთი საშინელი შესახედავი ვარ, რომ ჩემს დანახვაზე ადამიანები კომაში ვარდებიან!

...

— ექიმო, რა გჭირთ?!

* * *

**მართალია**, რომ შენი შეყვარებულის ახლობლები ვერ გიტანენ? — ეკითხება გოგო დაქალს.

— მართალია. მისი ცოლი მზად არის, შიშველი ხელებით დამახრჩოს...

* * *

— **თქვენი** დაზღვევა საიმედოა?

— რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, გასულ კვირას კაცი მეთოთხმეტე სართულიდან გადავარდა. ის საწყალი მესამე სართულამდეც არ იქნებოდა მიღწეული, რომ მისი ცოლი უკვე იღებდა ჩვენთან დაზღვევის თანხას...

* * *

**ბიჭი** შეყვარებულს წერილს უგზავნის:

„საყვარელო, იმისთვის, რომ შენთან ვიყო, მზად ვარ, ყველა სიძნელე დავძლიო, მთები გადავლახო და ზღვები გადავცურო!

P. S. ჩამოვალ ხუთშაბათს, თუ არ იწვიმა".

* * *

— **ახლახან** სამშობიაროდან დარეკეს და შეგვატყობინეს, რომ გოგო შეგეძინათ, — ეუბნება ასისტენტი მუშაობაში ჩაფლულ პროფესორს.

— თუ შეიძლება, ეს ჩემს მეუღლეს შეატყობინეთ, — სამუშაოსგან თავაუღებლად ამბობს პროფესორი.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**

**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**

**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**

**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**

**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**

**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**

**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**

**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**

**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**

**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**

**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**

**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## ლარის კურსი

**14 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1536 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8060 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1630 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3931 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4042 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6084 ლარი. |

## სვეტიცხოვლობა

# [illegible] კვართის [illegible] და სვეტის [illegible] და [illegible]

### დღეს, 14 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მცხეთობას

(პირველი გვერდიდან)

გავიდა 30 წელი. ანა მღვდელმთავარმა იერუსალიმიდან მოციქული გამოგზავნა მცხეთელ ურიებთან; ქართლიდან სინედრიონის ბჭობაზე წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში გაიგონა ჩაქუჩის ხმა... და მყის აღესრულა.

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს, ღვთის განგებულებით, იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება თავისი და სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილით მოისმინა ძმისგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა მთელს ქართლში. ადერკი მეფემ მოისურვა თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიდონიას გაცივებულ მკლავებს ვერ მოაშორა. ელიოზმა თავისი დაი, წმიდა კვართთან ერთად დამარხა. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა.

სულთმოფენობის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართლის მოქცევა ხვდა წილად. მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და უბრძანა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველ-წოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა".

... საქართველოში საქადაგებლად წამოვიდა წმიდა ანდრია პირველწოდებული, მოიარა მთელი ქვეყანა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მადლით მოაქცია წარმართები. საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს წმიდა ანდრიას თან ახლდა წმიდა მოციქულნი: მატათა და სვიმეონ კანანელი.

... გავიდა ჟამი. ქართველებმა წარმართთა შიშით თანდათან დაივიწყეს ჯვარცმული მაცხოვარი.

... წმიდა გიორგი კაბადოკიელის ნათესავმა, წმიდა ნინომ შეიტყო, რომ უფლის კვართი დაფლული იყო წარმართთა ქალაქში, გადაწყვიტა, ქართველები ქრისტეს სჯულზე მოექცია, ამიტომაც ის ჯავახეთის მთების გავლით, ქართლში მოვიდა.

IV საუკუნეში ქართლში მეფობდა მირიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. წმიდა მოციქულმა ნინომ ლოცვა აღავლინა ქართლის დღესასწაულზე — არმაზობაზე. ამ დღესასწაულს მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. ლოცვის შემდეგ არმაზის კერპი დაიმსხვრა.

წმიდა ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრის მადლით კურნავდა დავრდომილებს. ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა წმიდა ნინოს — „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა".

... გავიდა ხანი, ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი სიკვდილისგან იხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ, აღიარა ნანამ ქრისტიანობა.

ერთ დღეს მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. უხილავმა მტერმა მას კვლავ ჩაუნერგა ქრისტიანობის სიძულვილი. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. მეფემ კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ — ამაოდ. მაშინ მან ჯვარცმულ მაცხოვარს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: მზე გამობრწყინდა. მეორე დღესვე მეფე მირიანმა საბერძნეთის მეფესთან (წმიდა ნინოს რჩევით) მოციქულნი მიავლინა, რათა მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის... მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინომ ილოცა... და გამთენიისას ზეციდან... ნათლით შემოსილმა ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეზე ჰაერში გაჩერდა. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად... კონსტანტინე მეფემ ქართველ ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი, ცხოველისმყოფელი ჯვრის ნაწილი — კვარცხლბეკი და სამსჭვალნი უფლისა ჩვენისა. მტკვრის და არაგვის შესართავთან ნათელ-იღეს მეფემ, დედოფალმა და სრულიად ქართლმა. წმიდა ნინომ მეფეს უთხრა, რომ უფლის კვართი მცხეთაში ინახებოდა.



სატახტო ქალაქში, ერთი კლდისთავზე, მშვენიერი სურნელოვანი ხე იდგა. ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით მოჭრეს ეს ხე და ეკლესიის სამხრეთით აღმართეს. შემდეგ ამ ხისგან 3 ჯვარი გააკეთეს. წმიდა ნინოს რჩევით, მეფემ ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღამართინა, მეორე — ქალაქ უჯარმაში, ხოლო მესამე — (უფლის მინიშნებით) არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვაზე.

როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

მირიან მეფე და ნანა დედოფალი ანდერძისამებრ დაიკრძალნენ სამთავროს დედათა მონასტერში და არა სვეტიცხოველში, რადგან მოკრძალება და რიდი ჰქონდათ დიდებული ნათლის სვეტის წინაშე.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

## აჩრდილების გამოხმობა

# ავთანდილი და ამირანი

**ერთ** სუფრასთან, ამ ცოტა ხნის წინათ, უკვე საკმაოდ შექეიფიანებულმა ახალგაზრდა კაცმა ქართული მიწისადმი მიძღვნილი ლექსი თქვა:

**ვიცი, იყავი უმეტესი**
**ასჯერ უფრო**
**(იმ ყიამეთში და ქარებში**
**მიტომ გაძელი!),**
**უფრო გაშლილი, ვიდრე შენი**
**ლამაზი სუფრა,**
**უფრო მკერდფართო,**
**უფრო მხარგრძელი...**
**ვინც დედულეთში დაბრუნებას**
**აღარ ელოდა,**
**გაგიყოლია, ვით სიცოცხლის**
**ძალა მარადი...**
**შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს**
**საქართველოდან, —**
**ალბათ ამიტომ დაპატარავდი...**

ახმაურდა სუფრა, ზოგმა ტაშიც შემოჰკრა, ზოგს ცრემლი შევნიშნე თვალზე. ვისიაო, ეკითხებიან ახალგაზრდას, არ ვიცი, კარგა ხნის წინათ წავიკითხეო... მე ვიცოდი, ჩემი ავთო გურგენიძის რომ იყო ეს ბრწყინვალე ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოაქვეყნა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში".



ავთანდილ გურგენიძე



ამირან ასანიძე

იგი ერთი-ორი კურსით ჩვენზე წინ იყო, უკვე განხილვაც მოესწროთ უნივერსიტეტში მისი ლექსებისა. სადა და ნათელ სტრიქონებს პატრიოტული სულისკვეთება ახლდა:

**ვენაცვალები**
**მშობლიური**
**ზეცის კამარებს,**
**დედასთან ერთად**
**საქართველოს დიდებას ვფიცავ...**
**მშობელ მიწაში**
**ნუ გამიჭრით, ძმებო, სამარეს, —**
**ვაითუ მკერდი**
**ეტკინოს მიწას?!.**

რაღა დავმალო და, ცოტათი შევნატროდით კიდეც ავთანდილს — მისი ლექსები ბევრმა ზეპირად იცოდა, გოგონები ამ მკვირცხლი გურულის გაცნობას ლამობდნენ...

ერთხელაც, ვხედავ, რომ ჟურნალ „დილაშია" დაბეჭდილი მისი ლექსები... თბილი, სხარტი, იუმორშეზავებული სტრიქონები პატარებისთვის... ავთოს ნიჭიერება აქაც კასკასებდა.

**ეჰე, მოდის,**
**ბეჰე მოდის,**
**ბეჰე — შვილი**
**ბეჰემოტის!...**

იმ უბედურ წლებში თითქმის ყოველდღე მხვდებოდა ავთო დიღმის მასივში. დილაობით მეტროს მოჰყვებოდა დიდუბემდე, ფეხით გადმოჭრიდა დიღმის ხიდს და მეგობრობის (დღეს რობაქიძის) გამზირზე მდებარე ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკისკენ მიიჩქაროდა — მისი გამგე და მზრუნველი იყო. ბავშვების სამყაროთი ტკბებოდა, ნორჩებთან ურთიერთობა ცოტათი უხალისებდა საქართველოს ბედუკუღმართობით დაოსებულ მტკივან გულს.

**გული ბევრჯერ გადაბრუნდა,**
**უჭირს დარდის შენახვა...**
**სამწუხაროდ, ჩემზე ცუდად,**
**საქართველოვ, შენა ხარ.**
**ფეხი ბევრჯერ დამიცურდა,**
**ქარწვიმებმა შემლახა...**
**სამწუხაროდ, ჩემზე ცუდად,**
**საქართველოვ, შენა ხარ!**
**არა, იმედს როდი ვკარგავ,**
**მაინც მტანჯავს ფიქრები:**
**კარგზე კარგად,**
**ასჯერ კარგად —**
**ნეტა როდის იქნები?!.**

გულმა გადაიყოლა გულიანი კაცი, ნაღდი პოეტი, რომლის ის ერთი ლექსი („ჩემო მიწავ") ზეპირად იცის ბევრმა, თუმცა ავტორი არ ახსოვთ...

ესეც ბედია — რამდენი დიდებული ლექსის ავტორი არ ახსოვთ საქართველოში...

რომ მოვიკითხავდით ერთმანეთს, აუცილებლად მეტყოდა: „ბიჭები რას შვებიან, ამირანი როგორ არის?..."

ამირან ასანიძეს გულისხმობდა — ჩვენი საძმოს კოლორიტს — შესანიშნავ პოეტს, მთარგმნელს, მახვილგონიერი ექსპრომტებისა და ეპიგრამების ავტორს, უზადო იუმორის მატარებელ კაცს. ბედის ირონია იყო, აბა, რა — სამსახური რომ ვერსად „გაახერხა", ცენზორად დაიწყო მუშაობა მთავლიტში... კითხულობდა საღამოობით გამომცემლობა „სამშობლოს" (მაშინ ცეკას) მეხუთე სართულზე განთავსებულ ერთ-ერთ ოთახში „ათას სისულელეს" (ასე ეძახდა ჩვენი — მეგობარი ჟურნალისტების ნამუშაკევს), გაზეთების გვერდებს სწრაფ-სწრაფად ურტყამდა ბეჭედს და გამოდიოდა მეორე ოთახში (ცხონებული ციალა ამაშუკელისა და ტიტე ხუხუას ოთახში), სადაც ჩვენ უკვე გაწყობილი გვქონდა მაგიდა — ძეხვით, ყველით, პურით... და ამირანის განუყრელ ჩანთაში ჩაწყობილი დალოცვილი 8 ნომერით. ავთო გურგენიძე თამადობდა ხოლმე. ავთო ენაწყლიანი იყო, გურული იუმორიც მოსდევდა. არც ამირანი იყო ნაკლები — ექსპრომტებს ახვავებდა. ერთ საღამოს რამდენჯერმე შემოგვისწრო ახლახან გარდაცვლილმა გაზეთ „ლელოს" პასუხისმგებელმა მდივანმა, სულგანათლებულმა ვანდი ხანდამიშვილმა. ერთ შემოსვლაზეც ამირანმა უცებ სტყორცნა:

**სამჯერ მოვიდა ვანდი,**
**ჩვენ ისევ ისე ვსვამდით,**
**— როგორ უძლებთო ამდენს!**
**მართალი იყო ცამდე.**

ამირანი უნივერსიტეტში სიბეჯითით გამოირჩეოდა. გასული საუკუნის სამოციან წლებში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დედაქალაქების უნივერსიტეტებში სტუდენტების გაცვლა-გამოცვლა რომ დაიწყო, ჩვენი ასანიძე კიევში მიავლინეს. ბრწყინვალედ შეისწავლა უკრაინული ენა, ჩამოვიდა, თარგმნიდა და ბეჭდავდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტების ლექსებს (მთარგმნელობით კოლეგიაში დადიოდა ერთხანს), თითქმის მთელი ცხოვრება მიუძღვნა უკრაინის კლასიკოსის ივანე კოტლიარევსკის „ენეიდას" თარგმნას. სად არ ატარა თარგმანი, ვინ არ დაჰპირდა... დაპირება დაპირებად დარჩა. ამირანი ვერ მოესწრო „ენეიდას" წიგნად გამოცემას...

ბოლო ხანს ჩვენს გაზეთში მუშაობდა სტილისტად, უზადოდ აკეთებდა თავის საქმეს... დადიოდა ფერმიხდილი, ბახუსსგადაყოლილი, ულამაზეს თვალებში ხანდახან კვიმატი ღიმილი უთამაშებდა... ჩაქრა ეს ღიმილი უდროოდ, კიდევ ერთი ლექსის კაცი წავიდა...

„ვახ, სოფელსა ამას..."

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ხსოვნა

### გიორგი (ჟორეს) ცინცაძე



ქართულმა ფილოსოფიურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი.

გიორგი ცინცაძე დაიბადა 1926 წლის 15 აგვისტოს სოფ. ბუკისციხეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1944 წ.) გ. ცინცაძემ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გ. ცინცაძე ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. 1948 წელს იგი დააპატიმრეს პოლიტიკური ბრალდებით და მიუსაჯეს 25 წელი. 1956 წელს გ. ცინცაძემ მიიღო რეაბილიტაცია და იმავე წელს დაუბრუნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც 1957 წელს დაამთავრა.

გადასახლების უმძიმესმა წლებმა ვერ ჩაკლეს მასში მკვლევარი და მაძიებელი პიროვნება. ფილოსოფიის სიყვარულით შევიდა იგი ფილოსოფიის ფაკულტეტზე და ამავე გრძნობით დაიწყო მუშაობა 1962 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ის სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

გ. ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემის კვლევას, პერსონალიზმის ძირეული პრობლემების ჩათვლით. ეს საქმიანობა აისახა მრავალ სამეცნიერო წერილსა და ფუნდამენტურ მონოგრაფიებში, რომლებმაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ღრმად მორწმუნე და რელიგიის ფილოსოფიის პრობლემების შესანიშნავი მცოდნე გ. ცინცაძე სიცოცხლის ბოლო წლებში აქტიურად მუშაობდა ფაკულტეტის სტუდენტებთან თეოლოგიის პრობლემებზე. 1969-93 წლებში კი იყო სასულიერო აკადემიის პრორექტორი.

ქართული ფილოსოფიური აზროვნებისთვის წარუვალი ღირებულებისაა გ. ცინცაძის განსაკუთრებით ორი მონოგრაფიული გამოკვლევა: „გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა" (1976), „პიროვნება, დრო, განწყობა" (1981).

ორივე აღნიშნული მონოგრაფია ქართულ ფილოსოფიურ სინამდვილეში შეიძლება საეტაპოდ ჩაითვალოს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების კვლევის თვალსაზრისით.

გიორგი ცინცაძის — მოქალაქის, ფილოსოფოსის, უმწიკვლო პიროვნების — ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის**
**სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი**

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი

ალექსანდრე
შელკოვნიკოვი

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

პანაშვიდი 13, 14 X, 16 სთ-ზე, დაკრძალვა 15 X, 14 სთ-ზე. მისამართი: მუხიანი, II მიკრორაიონი, V კორპუსი, V სადარბაზო, III სართული.

---

მეუღლე მედეა, შვილები ზაზა, სამსონი (სოსო) ოჯახებით და ლამარა ურიდია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ურიდია

პანაშვიდი 14, 15 X, 16 სთ, გამოსვენება 16 X, 14 სთ. კანკავას ქ.№ 3.

---

თბილისის საქალაქო სასამართლო თანაუგრძნობს ამავე სასამართლოს მოსამართლეს გია ფურცელაძეს მამის

გივი
ფურცელაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნატო კუჭეიშვილის მამის

მიტუშა (კუჭიკო)
კუჭეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.